

გაიხსანით მენტორი

გახდეთ მენტორი, საჭიროა გქონდეს პროფესიული ზრდის დიდი სურვილი



ირინა ნაცვლიშვილი



ლიანა მამულაშვილი



კეტერე გობიშვილი

დღეს მენტორების კიდევ ერთ სახეობას გაცნობთ: ირინა ნაცვლიშვილი (სსიპ – თბილისის №21 საჯარო სკოლა), ლიანა მამულაშვილი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაყაროს საჯარო სკოლა), კეტერე გობიშვილი (შპს ევროპული სკოლა).

რატომ აირჩიეს პედაგოგობა და რას ნიშნავს მათთვის მასწავლებლის პროფესია

ირინა ნაცვლიშვილი: ალბათ, საუბარი იმით უნდა დავიწყო, რატომ ავირჩიე მომავალ პროფესიად ფილოლოგობა. ამ არჩევანზე ლიტერატურის სიყვარულმა მიმიყვანა, იმ სამყაროს პროფესიული შეცნობის, გააზრებისა და გათავისების სურვილმა, რომელსაც მხატვრული ტექსტი გადაუშლის თავის მკითხველს. ფილოლოგს, თუკი იგი უშუალოდ პროფესიით აპირებს საქმიანობის გაგრძელებას, ფაქტობრივად, ორი გზა აქვს – სამეცნიერო ან პედაგოგიური. საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ ჩემი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელისა და სხვა პროფესორ-მასწავლებლების თანადგომით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულებისთანავე, მუშაობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე დაიწყო, რამაც, უდავოდ, მნიშვნელოვან განსაზღვრა ჩემი პროფესიული ზრდა როგორც პედაგოგიური, ისე სამეცნიერო მიმართულებით. 1997 წელს დავიცავი სადისერტაციო ნაშრომი ქართული ლიტერატურის სპეციალობით. ვარ ფილოლოგიის დოქტორი. ლექცია-სემინარებს ვატარებდი სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებშიც. ამჟამად, სკოლაში მუშაობის პარალელურად, ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

სკოლაში მუშაობა, რამდენჯერმე, ადრეც შემომთავაზეს, მაგრამ პირველად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 2006 წელს შევედი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ერთიან პრაქტიკას, რომელსაც ფილოლოგები, მეოთხე თუ მეხუთე კურსზე, თბილისის სხვადასხვა სკოლაში ვავდიოდით). რასაკვირველია, სკოლას თავისი სპეციფიკა აქვს როგორც სასწავლების ფორმისა და მასალის, ისე მოსწავლეთა ასაკისა თუ ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება, რომელიც მრავალგვარ უნარს სძენს ადამიანს, დიდად დაეხმარა ალლო ამელო ახალი გამოწვევებისთვის, ბევრ რამეს დაეკვირვებოდი, შემეთვისებინა და, ამავე დროს, შემეძინა საკლასო ოთახში დამატებითი საფიქრალი, ჩამება მოსწავლეები იმ ტიპის აქტივობებში, რომლებიც მათ მომავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს შესძენდა და მოამზადებდა საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის.

რას ნიშნავს მასწავლებლობა? – ეს უაღრესად რთული, დატვირთული სამუშაო რეჟიმით მოპოვებული ბედნიერების განცდაა, როცა თვალნათლად ხედავ შენი შრომის უშუალო შედეგს, შეიგრძნობ მოსწავლისგან დაუფარავად გამოხატულ სიყვარულს, იმას, რომ ეიმედები ახლაც და თუ დასჭირდი, მომავალშიც... მაშინ ხვდები, რომ ამაღ ღირდა მათ ნაწერებზე გათენებული ლამები, სხვადასხვა პროექტისა თუ შემეცნებითი აქტივობის მზადებაში დახარჯული უამრავი დამატებითი საათი. მასწავლებლობა რთული პროფესიაა. დღეს პედაგოგს უამრავ პრობლემასთან უნევს გამკლავება.

ლიანა მამულაშვილი: დავიბადე და გავიზარდე პედაგოგების გარემოცვაში. პირველი სპეციალობით ვარ ფარმაცევტი, მაგრამ საკუთარი თავის რეალიზება ვერ მოვახდინე სამედიცინო სფეროში. ამიტომ შევიცვალე სპეციალობა და გავხდი პედაგოგი, სადაც ჩემი ნამდვილი მოწოდება ვიპოვე.

დღევანდელი პედაგოგების ყველაზე დიდ პრობლემად რჩება რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე არც თუ მარტივად აისახება. თავისთავად, ეს განათლების სფეროსაც ეხება. თუ სახელმწიფოს გაძლიერება და წინსვლა გვინდა, ეს პრობლემა ერთობლივად უნდა მოვავალოთ. სხვანაირად ვერცერთ სფეროში, მათ შორის განათლებაშიც, სრულფასოვნებას ვერ მივალწევთ.

კეტერე გობიშვილი: სიმართლე რომ გითხრათ, მასწავლებლობა ჩემთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. ჩემი ცხოვრების წარმმართველი იყო სიყვარული მათემატიკისადმი. სწორედ ამ

სიყვარულმა განსაზღვრა ბევრი რამ ჩემს ცხოვრებაში, მათ შორის ჩემი მასწავლებლობა. როცა მათემატიკაში მუშაობ, ძნელია, გაავლო ზღვარი კვლევასა და სწავლებას შორის. ამ დროს ხვდები, რომ შენი ყოველი კვლევა, აღმოჩენა, მიგნება სხვადასხვა უნდა გაუზიარო, ასწავლო. თანაც, მე ვიცი, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული მათემატიკის სწავლა და ამიტომაც გადავწყვიტე, შემეცვალა ეს სტერეოტიპული დამოკიდებულება; მიხლოდა, მოსწავლეებს ადრეულ ასაკში დაენახათ და ეგრძნოთ, რომ მათემატიკა სამინელი ლაბირინთი კი არა, საინტერესო თავსატეხია, რომლის ამოხსნაც, სიამოვნებასთან ერთად, საჭირო აუცილებლობაა შენივე რეალიზებისთვის. ასე რომ, მათემატიკის სიყვარულმა და ამ იდეის განხორციელების სურვილმა მიმიყვანა სკოლის კარამდე. შესაბამისად, ჩემთვის მასწავლებლის პროფესიაც ასე განისაზღვრება – ყოველდღიურად ისწავლო შენ თვითონ, არასადეს შეწყვიტო განვითარება, იკვლიო და შემდეგ ეს სიახლეები მიიტანო მოსწავლესთან, რათა ის ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი გაუშვა ცხოვრებაში. ჩვენ მოსწავლეებს არ ვაძლევთ მხოლოდ ცოდნას, ჩვენ მათ ვუვითარებთ უნარებსაც, რომლებსაც ცხოვრებაში გამოიყენებენ. მესმის, რომ ეს საკმაოდ რთულია, მაგრამ დაუძლეველი ნამდვილად არ არის, ყოველმა მასწავლებელმა სწორად უნდა გავითავისოთ ჩვენი ფუნქცია.

როგორი ხელშეწყობა აქვს მასწავლებელს, თანამედროვე სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად რომ განვითარდეს

ირინა ნაცვლიშვილი: განათლების სისტემის შესაბამისი სამსახურები ნამდვილად ზრუნავენ იმისთვის, რომ მასწავლებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, განვითარდნენ თანამედროვე სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და სრულყოფილად თავიანთი საგნობრივი ცოდნა თუ პროფესიული უნარ-ჩვევები სხვადასხვა ტრენინგ-კურსის, სპეციალური თუ საინფორმაციო-განმარტებითი ლიტერატურის საშუალებით; თუმცა, აღსანიშნავია, რომ სატრენინგო სისტემა გასაუმჯობესებელი და დასახვეწია. მაგალითად, ე.წ. მილენიუმის ტრენინგები არ არის ხელმისაწვდომი ყველა საგნის პედაგოგებისთვის, კერძოდ, მათთვის, ვინც პუბლიცისტურ დაცვას ახსნავს. ამის საპირისპიროდ სხვა ტრენინგები არ არის შემოთავაზებული; ზოგჯერ პედაგოგები რეგისტრირდებიან ამა თუ იმ ტრენინგზე, მაგრამ შემდგომ მათ არავინ უკავშირდება; აგრეთვე, აუცილებლად მიმარჩნია ფართომასშტაბიანი ტრენინგ-მოდულების დაგეგმვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, რათა მასწავლებლებმა შეძლონ მათი სრულფასოვნად გამოყენება. ამასთან დაკავშირებით არის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემა: საკლასო ოთახები არ არის აღჭურვილი შესაბამისი აპარატურით, რომელიც შესაძლებელს გახდის ციფრული რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, რომ აღარაფერი ვთქვათ საგანმანათლებლო პროცესში ინტერნეტის ხელმძღვანელობაზე.

რაც ეხება მასწავლებელთა განვითარებისა და წინსვლის ხელშეწყობას შიდა სასკოლო სივრცეში, როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განსხვავებული ვითარებაა, რასაც ცხადყოფს პედაგოგთა მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებული კომენტარები. ჩემი სკოლის მავალითზე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ, დირექტორით დაწყებული, ადმინისტრაციული მართვის ყველა საფეხურზე დასაქმებული თანამშრომლები და მთელი პედაგოგიური კოლექტივი მოწადინებულია, მაქსიმალურად დაეხმაროს და მხარში ამოუდგეს მასწავლებელს ნებისმიერი პროფესიული აქტივობის განხორციელებასა და თვითრეალიზებაში.

ლიანა მამულაშვილი: ჩემი ვადმოსახედიდან, ყველაზე პროგრესული ნაბიჯი იყო სკოლებში ისტ-ის კაბინეტების მოწყობა, რომლებიც, ძირითადად, გამართულად მუშაობს, მათ უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება ინტერნეტი (მალაღმთიან რეგიონებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს წვევტას), რაც უკვე დიდი დახმარებაა პედაგოგებისთვის, რათა შეძლონ საკუთარი პროფესიის სრულყოფა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაეგეგმონ და ჩაატარონ მაღალი დონის გაკვეთილები, რაც თანამედროვე სტანდარტის მოთხოვნითაა გათვალისწინებული.

კეტერე გობიშვილი: „ევროპული სკოლა“, რომელიც მე ვასწავლი, კერძო სკოლაა და თამამად შემიძლია ვთქვა, ერთ-ერთი გამორჩეული თავისი ინფრასტრუქტურით, ბაზით. აქ მასწავლებელს ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი, რომ წარმა-

ტებით ასწავლოს. შესაბამისად, მეც ყველა ტიპის ხელშეწყობა მქონდა როგორც ბაზის თვალსაზრისით, ისე კოლეგებისა და ადმინისტრაციის თანადგომით, რათა სქემით გათვალისწინებული აქტივობები უპრობლემოდ და ხარისხიანად შემსრულებინა. მართალია, რესურსი ამის საშუალებას მაძლევდა, მაგრამ მხოლოდ რესურსი არაა გადაწყვეტი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ კარგ რესურსს მასწავლებლის კეთილი ნებაც უნდა ერთვოდეს, რომ ხარისხიანი შედეგი მივიღოთ. ასე რომ, თუკი მასწავლებელი მუშაობს საკუთარ თავზე, ის აუცილებლად მოძებნის რესურსს სკოლაში, რომ განახორციელოს სქემით გათვალისწინებული აქტივობები.

ქართველი მასწავლებლის მთავარი გამოწვევა

ირინა ნაცვლიშვილი: ქართველი მასწავლებლები დღეს არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან, მთავარი კი, ალბათ, ის გახლავთ, რომ მათ უნდა შეძლონ, სასკოლო განათლების თანამედროვე მსოფლიო სტანდარტები შეუთავსონ სოციალურ დაეკეთას, რომელსაც დიდწილად ათწლებლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეროვნულ-მენტალური პრიორიტეტები განსაზღვრავს.

ლიანა მამულაშვილი: ქართველი მასწავლებლის ყველაზე დიდ გამოწვევად, თანამედროვე ტექნოლოგიების სრულფასოვან ცოდნასა და უცხო ენების ფლობას მივიჩნევ, რადგან ცოდნა ყველაზე დიდი „პროდუქტია“. ამ პროდუქტის შესაქმნელად კი უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება და გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია.

კეტერე გობიშვილი: დღეს ქართველი მასწავლებლისთვის მთავარი გამოწვევაა სწავლების პროცესში სტერეოტიპული მიდგომების რღვევა. ჩვენ მაინც გარდამავალ ეპოქაში გვიწევს მასწავლებლობა, როცა ძველი და ახალი თაობა, ანუ ძველი და ახალი ხედვა/მიდგომა ერთდროულად თანაარსებობს სასკოლო სივრცეში. მესმის, რომ ეს მტკივნეული საკითხია, მაგრამ უნდა გავიხსნათ ერთი რამ – ჩვენ ვზრდით ჩვენსავე მომავალს; ეს ბავშვები დღეს ჩვენ გვენდობიან, თავიანთ მომავალს გვანდობენ და დამეთანხმებით, ეს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ის პასუხისმგებლობაა, რომელიც უმეტივად ძიების პროცესში მამყოფებს – მე და ჩემი მოსწავლეები არ ჩამოვრჩეთ სიახლეებს. მასწავლებელი კლასში წარმმართველი ძალა კი არ უნდა იყოს, არამედ – ფასილიტატორი, ერთგვარი გზამკვლევი, რომელიც გვერდიდან წარმართავს პროცესს. მთავარი მოქმედი კლასში არის მოსწავლე. თუკი ამას შევძლებთ, მაშინ თითოეული გაკვეთილი იქნება კვლევით და დაინტერესებული და არა ლექციური ტიპის, როგორც უმეტეს შემთხვევაში გვაქვს ხოლმე. ვფიქრობ, ეს არის მთავარი გამოწვევა დღევანდელი ქართველი მასწავლებლისთვის.

სქემის სირთულეები და რეალისტური საფუძვრები წინსვლა

ირინა ნაცვლიშვილი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა საქართველოს განათლების სისტემაში, პირველად, 2010 წელს დაინერგა და იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა და მწვავე დისკუსია გამოიწვია. მას შემდეგ, 2015 წლიდან, რამდენჯერმე შეიცვალა, უფრო მასშტაბური (საქართველოს მთავრობის დადგენილება №68; 20 თებერვალი, 2015 წ.) თუ მცირე კორექტირების (საქართველოს მთავრობის დადგენილება №35; 26 იანვარი, 2017 წ.) შემდეგ, ერთგვაროვნად მას დღესაც არ აფასებენ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება მეც მქონდეს შენიშვნები, მაინც მიმაჩნია, რომ სქემა მთლიანობაში საკმაოდ კარგ შესაძლებლობას იძლევა განათლების სისტემის გაჯანსაღებისა და განვითარებისათვის.

მასწავლებელთა საფეხურებრივი წინსვლა სქემით განსაზღვრულ ვადებში და უფრო სწრაფადაც კი სრულიად რეალისტურად მიმაჩნია პედაგოგთა სასწავლო-საგანმანათლებლო აქტივობების ბაზაზე; სირთულეს ქმნის არა უშუალოდ ქმედება, არამედ განხორციელების დოკუმენტირება და დადასტოვების სტანდარტიზებული მექანიზმი. ბოლო დროს გამოქვეყნებულ ინტერვიუებში გამოჩნდა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ამ მხრივ, ზოგიერთ ცვლილებას გეგმავს (მაგ.: დოკუმენტების სისტემაში ატვირთვის ვადები და სხვ.). კარგი იქნება, თუ პედაგოგებს ნაკლები დრო დაეხარჯებათ განხილვა-შეფასებისათვის წარსადაგენი მასალის მომზადებაში, რათა მთელი ძალისხმევა მოახმარონ თავიანთ უშუალო მიზანს – მოსწავლეთა განათლებასა და აღზრდას.

ლიანა მამულაშვილი: სქემის არსებობას შევფასებ დადებითად. ის რეალისტურია და პერსპექტიული. თუ პედაგოგი მიზანმიმართულად დაგეგმავს და იმუშავებს საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფასა და მოსწავლეებისთვის პოზიტიური გარემოს შექმნაზე, შედეგს აუცილებლად მივალწევს.

კეტერე გობიშვილი: კარიერული წინსვლის სქემის არსებობა აუცილებელია. მოგეხსენებათ, ის თითქმის ყველა ქვეყანაში გამოიყენება. სქემა გაძლევს მოტივაციას, იმუშაო საკუთარ თავზე, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს განუწყენებლად, ანუ ჩვენ ვვითარდებით არა სქემის საფეხურზე ასასვლელად, არამედ საკუთარი თავის უკეთ რეალიზებისთვის. სქემა რეალისტურია და გაძლევს საშუალებას, რომ შენი კარიერული წინსვლა უზრუნველყო, მაგრამ, ზოგადად, როგორ აისახება დღევანდელი სქემა სასწავლო პროცესსა და მოსწავლეებზე, ვფიქრობ, ეს ცალკე კვლევის საგანია. თუკი მასწავლებლის კარიერული წინსვლა, იმავდროულად, სწავლა-

გაიხანით მენტორი

სწავლების პროცესზე სასიკეთო გავლენას ახდენს, ე.ი., პროცესი სწორი მიმართულებით მიდის. ვგულისხმობ იმას, რომ მასწავლებელმა განვითარების პროცესში არ უნდა იმუშაოს განყენებულად, არამედ მისი კარიერული წინსვლა უნდა აისახოს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

მენტორობამდე განვლილი გზა – რჩევა კოლეგებს, როგორ განვლით მენტორები

ირინა ნაცვლიშვილი: როგორც ზემოთ აღვნიშნე, სკოლაში მასწავლებლად მუშაობა 2006 წელს დავიწყე მცირე საათობრივი დატვირთვით. 2010 წელს სახელმწიფომ ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში დასაქმებულ პედაგოგებს კვალიფიკაციის დასადასტურებლად ორი გამოცდის ჩაბარება მოსთხოვა: საგანსა და პროფესიულ უნარებში. არც დავეფიქრებულვარ, ისე დავერეგისტრირდი და ორივე გამოცდა საკმაოდ მაღალი შეფასებით ჩავაბარე, რამაც განაპირობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩემი მინიჭება, მენტორის სტატუსით, „მასწავლებლობის მაძიებლობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში“. ამ პროგრამის ფარგლებში, პროფესიულ კონსულტირებას ვუწვევდი სამ ახალგაზრდას, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდები, მუშაობა დაიწყო სხვადასხვა სკოლაში, ერთ-ერთი მათგანი კი დღეს ჩემი კოლეგაა, რამდენიმე წელია ჩვენს სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა ჩემთვის. იმავე სასწავლო წელს, 2011-ის გაზაფხულზე, სახელმწიფომ კიდევ ერთი სახელე შესთავაზა პედაგოგებს – ინტეგრირებული გამოცდა ინგლისურსა და კომპიუტერულ უნარებში. ეს გამოცდაც პირველივე წელს ჩავაბარე და, საკვალიფიკაციო გამოცდების საერთო შეფასებათა მიხედვით, მომინიჭა საუკეთესო სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში, ამოქმედებისთანავე, 2010 წელს ჩავერთე და არაერთი აქტივობაც განვახორციელე, რომელთაგან, 2015 წელს, სქემის მასშტაბური ცვლილების შედეგად, მხოლოდ ზოგიერთი შეფასდა შენარჩუნებული, თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც შესაძლებელია მაქსიმალური რაოდენობა – 10 კრედიტი – დავაგროვე. 2015-2016 სასწავლო წლიდან, ახალი სქემით მოთხოვნილი აქტივობების შედეგად, კიდევ 18,5 კრედიტულა მივიღე და საერთო 28,5 ქულით, გასული სასწავლო წლის ბოლოს, სკოლის შეფასების ჯგუფმა წარმატებულად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წინაშე მენტორის სტატუსის მისანიჭებლად.

დასახელებული კრედიტული სხვადასხვა აქტივობით დავაგროვე: ჩავაბარე 4 საკრედიტო სამოძღვრო გაკვეთილი და სკოლის საჭიროების კვლევა, მოვაგზავნე სასწავლო რესურსები, მოსწავლეებთან ერთად განვახორციელე საინტერესო სასწავლო პროექტები, მონაწილეობა მივიღე კონფერენციებში და ა.შ. ვინაიდან მენტორის სტატუსის მისაღებად მხოლოდ 25 კრედიტული იყო საჭირო, ზოგიერთი აქტივობა, დოკუმენტირებული სახით, სკოლის შეფასების ჯგუფისთვის არათუ არ წარმადგენია, არც თავიდან ჩამიფიქრებია მიზანმიმართულად სქემისთვის. სწავლება იმდენად ცოცხალი და უშუალო პროცესია, რომ მის ფარგლებში უამრავი იდეა იბადება, ბევრი სასარგებლო საქმე იხსამს ხორცს. არ არის აუცილებელი, ყველაფერი პროფესიული განვითარების სქემას მიუყვებადგეთ, თუმცა, თუ საჭირო გახდა, არც ეს იქნება რთული, რადგან დამატებითი საქმიანობის მიმართულებით იგი საკმაოდ მრავალფეროვან არჩევანს გვთავაზობს.

საფეხურის ცვლილების თუ, ზოგადად, კრედიტულების დაგროვების გზაზე მთავარ სირთულედ ისევ გადამეტებულ (ჩემი აზრით) „ქაღალდობანას“ დავასახელებ, კოლეგებს კი ვურჩევ, არ შეუშინდნენ დაბრკოლებებს; ისინი ისეთ კარგ და ღირებულ საქმეს ემსახურებიან ღირსეულად, რომ მათი უანგარო საქმიანობის მხოლოდ ნაწილის წარმოდგენაც კი სათანადო, მოთხოვნილი ფორმით საჭიროზე გაცილებით მეტი რაოდენობის კრედიტულას მიაღებინებს.

ლიანა მამულაშვილი: მენტორობამდე განვლილ გზას საშუა-

ლო სირთულის გზად ჩავთვლიდი, რომლის გასაველად მიზანმიმართული, მაგრამ თავდადებული შრომაა საჭირო. ამ სტატუსის მოსაპოვებლად მჭირდებოდა 25 კრედიტი. მე კი 40,5 კრედიტი დავაგროვე, რაშიც უდავოდ დამეხმარა სქემაში კრედიტულების დაგროვების გამარტივება.

კოლეგებს ვურჩევდი, დღევანდელი გასაკეთებელი საქმე სახვალიოდ არ გადადონ და შედეგად – მიზანს აუცილებლად მიაღწევენ.

პეტრე ბაბილუა: მენტორობამდე განვლილი გზა საკმაოდ რთული იყო, მაგრამ დაუძლეველი არაფერია, მით უმეტეს, თუკი კარგ გარემოში გინევს მუშაობა. თუმცა, ჩემი გამოცდილებით შემძლია გითხრათ, რომ მენტორობა არის კარგი გარემოსა და შენი გინერაფების ერთიანობის შედეგი. ჩემთვის მიზანი ყოველთვის იყო მოსწავლე და არა, თუნდაც, მენტორობა. ჩემი ყოველი აქტივობა იყო ძიება, როგორ გამეხადა სასწავლო პროცესი ხალისიანი, მარტივი, საინტერესო. ეს მით უმეტეს საჭიროა, როცა მათემატიკას ასწავლი და საგნის სწავლებასთან ერთად, მოსწავლეებში ამ საგნისადმი სტერეოტიპული შიშის დამსხვრევა გინევს. ამიტომაც ჩემს კოლეგებს შემძლია ვურჩიო, რომ მენტორობა თვითმიზნად არ გაიხადონ, მათ შეუძლიათ ჩვეულებრივ აკეთონ თავიანთი საქმე, ერთგულებითა და მოსწავლის სიყვარულით; იზრუნონ თავიანთი განვითარებაზე იმეტომ, რომ ეს მათ მოსწავლეებს ჰაერით სჭირდება. თუკი ამას გაითავისებს მასწავლებელი, შედეგი აუცილებლად ექნება ყველგან, მათ შორის კარიერული წინსვლის საფეხურზე მენტორობის სახით.

სტატუსით დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამომავლო გეგმები

ირინა ნაცვლიშვილი: ნებისმიერი სტატუსი, დიდი თუ მცირე, თავის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს მოიცავს. მთავარი ალბათ ის გახლავთ, რომ ჩემი შრომითა და მუდმივი განვითარების მცდელობით გავამართლო ის, რის შესაფერისად მიმიჩნია არა მხოლოდ სახელმწიფომ, არამედ ჩემმა კოლეგებმა.

განსაკუთრებული გეგმები არ მაქვს. რასაც ვაკეთებდი და ვცდილობდი, იმასვე გავაკეთებ და ვეცდები: მინდა სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრი რამ ნაპყვეთ ახალგაზრდებს ცხოვრების საგზაოდ, იქნება ეს ცოდნა, უნარები თუ ღირებულებები; არასოდეს დავიზარებ, გამოცდილება გავუზიარო ან ვურჩიო, ვისაც ჩემი პროფესიული თანადგომა დასჭირდება; ვიცი, არ მომეზრდება სწავლა, არ გამინელდება ინტერესი სიახლეებისადმი...

ლიანა მამულაშვილი: მე, როგორც სახელმწიფო პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებელს, ისედაც მაკისრია გარკვეული მოვალეობები და პასუხისმგებლობები სკოლაში როგორც პედაგოგიკის, მოსწავლეების, მშობლების, ასევე თემის წინაშეც. ხოლო ახლა, მენტორობის სტატუსის მონიჭებით, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ უკვე თავს ვალდებულად მთელი საქართველოს წინაშე ვთვლი.

პეტრე ბაბილუა: ნებისმიერი სტატუსი უკვე გარკვეული პასუხისმგებლობაა, მენტორობა კი ჩემთვის ის პასუხისმგებლობაა, როცა მხოლოდ საკუთარ თავსა და შენს მოსწავლეებსაც არ ეკუთვნის. სჭირდება შენს კოლეგებსაც, უამრავ ნაცნობსა თუ უცნობ მასწავლებელს. ეს გაიძულებს, მუდმივად იყო ფორმაში და არ შეწყვიტო ახლის ძიება, არ დაგრჩეს ვინმე ყურადღების მიღმა. ფაქტობრივად, უკვე შენს თავს არ ეკუთვნის. ამ მხრივ ცოტა რთულია, მაგრამ ესეც საინტერესოა.

ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც მასწავლებელს ბავშვებისთვის მისაღებად ხდის

ირინა ნაცვლიშვილი: მასწავლებელს, ყოველდღიურად, უამრავ სხვადასხვა ტიპის, განწყობისა და გემოვნის მოსწავლესთან უნევს ურთიერთობა; ზოგი პედაგოგის ერუდუციასა და ინტელექტს აფასებს, ზოგი, თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნობასა და ჩაცმულობას, სხვას მომთხოვნი მასწავლებელი

მოსწონს, ვილაცას – უფრო ლოიალური ან „ძმაცაცური“, მაგრამ ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი თვისება, რომელიც მასწავლებელს ყველა მოსწავლისთვის მისაღებად ხდის, ეს სამართლიანობაა. სიყალბეს, ორმაგ სტანდარტს, ადრე თუ გვიან, მოზარდი აუცილებლად შეამჩნევს და, კაცმა რომ თქვას, არც მასწავლებელმა უნდა იკადროს.

ლიანა მამულაშვილი: ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება მასწავლებლისა არის უანგარო და დიდი სიყვარულის უნარი, ასევე, რთულ სიტუაციაში ლავირების უნარი, პოზიტიური გარემოს შექმნა და შენარჩუნება. ასეთი მასწავლებელი ყველასთვის მისაღებაა, მათ შორის მოსწავლეებისთვისაც.

პეტრე ბაბილუა: მასწავლებელი ბავშვისთვის მისაღებაა, თუკი ის არის გულწრფელი, ობიექტური და ღია სიახლეებისთვის. ჩვენი მოსწავლეები ჩვენგან ნამოსულ ნებისმიერ იმპულსს გრძობენ და საკმაოდ ემოციურადაც აღიქვამენ, ისინი ხომ თავიანთი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ჩვენს გარემოცვაში ატარებენ. ამიტომ უნდა ვიყო საკმაოდ ფრთხილი. მოსწავლე უნდა გრნობდეს, რომ ის მასწავლებლისთვის ღირებულია. თუკი არ შეგვიძლია, რომ მათ ეს ვაგრძნობინოთ, მაშინ არაფერი გამოგვივა.

რატომ უნდა აირჩიონ ახალგაზრდებმა მასწავლებლის პროფესია

ირინა ნაცვლიშვილი: ვფიქრობ, პროფესია ადამიანმა, იმის გათვალისწინებით უნდა აირჩიოს, სად ხედავს საკუთარ თავს. რჩევა, ამ შემთხვევაში, არათუ ზედმეტი, საზიანოც კი შეიძლება იყოს როგორც კონკრეტული პირისთვის, ისე საზოგადოებისთვისაც. ჩემი სტუდენტობისა და შემდგომი პერიოდის განსხვავებით, დღეს არც ფილოლოგობაა პრესტიჟული, არც მეცნიერული კვლევა-ძიება და, მით უმეტეს, მასწავლებლობა. ბევრჯერ მიფიქრია: რას ვიზამდი, სავალაფერს თავიდან რომ ვინყებდე? რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, საბოლოოდ პასუხი ყოველთვის ერთია – ისევ ამ გზას ავირჩევდი. ჩემი აზრით, საკუთარ პროფესიას ღირსებას თავად ადამიანი ანიჭებს იმის მიხედვით, რამდენად ღირსეულად ატარებს მას.

ლიანა მამულაშვილი: პედაგოგობა, ეს ყველაზე მაღალპასუხისმგებლიანი საქმიანობაა, რომელთანაც შეჭიდება არც თუ ისე ადვილია. გახდეს ღირსეული მასწავლებელი, ნიშნავს იმას, რომ ხარ ყველაზე დიდი პატრიოტი, რამეთუ მომავალ მათბებს უზრდო შენს სამშობლოს. მასწავლებლებს მშობლებმა მათთვის ყველაზე ძვირფასი – შვილები ანდეს აღსაზრდელად, სახელმწიფომ კი ქვეყნის მომავალი ანდო პედაგოგებს. ეს თუ არ აქვს გაცნობიერებული მომავალ მასწავლებელს, სჯობს განზე გადაგეს და ღირსეულ ადამიანებს დაუთმოს ადგილი.

დაიხს, თუ პიროვნება მიჩნევს, რომ ის შეძლებს გამოავლინოს მაღალი პასუხისმგებლობა და უზადო სიყვარული ყველასი და ყველაფრის მიმართ, მაშინ მას აქვს უფლება აირჩიოს სპეციალობად – პედაგოგობა!

პეტრე ბაბილუა: მინდა ახალგაზრდებს ვუთხრა, რომ სწორედ მასწავლებლობით შეუძლიათ მათ სამყაროს შეცვლა და ეს არ არის ტრაფარეტული სიტყვები. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ, გამოძიწოთ და დატკბეთ იმ პროცესით, რომ ქმნით მომავალს. რამე არ მოგწონთ დღეს და ვერ ცვლით? შედით საკლასო ოთახებში და ჩადეთ ეს იმ ბავშვებში, რომლებიც ხვალ აუცილებლად შეცვლიან ახას. თქვენ გეძლევათ შანსი, გაალამაზოთ ანმყო და შვით მომავალი. ყველა პროფესიას კი არ აქვს ეს ხილი. დაამსხვრეთ სტერეოტიპი, რომ მასწავლებლობა რუტინული და უინტერესო პროფესიაა. ჩვენს ქვეყანაში, წლები მანძილზე, ინერციით მოღის ეს საბჭოური კლიშე და დროა, ის თავიდან მოვიშოროთ. მე 25 წლის ასაკში დავიწყე მასწავლებლობა, როცა მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი უკვე მოპოვებული მქონდა. 10 წელზე მეტია, სკოლაში ვარ და წლების შემდეგ ვიტყვი – დაიხს, ეს ანმყო ჩვენ შექმენით! დამიჯერეთ, ამ სიტყვებისთვის ღირს შრომა და ცხოვრება და თქვენც ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან.

მომზადდა ლალი ჯეჟაძემ

ინფორმაცია

წლის საუკეთესო მუსიკარები გამოვლინდნენ

2017 წლის „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი“ გრანდიოზული ღონისძიებით დასრულდა – გამოვლენილი კონკურსის ფარგლებში, დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო მეცნიერები. ასევე, გამოვლინდნენ ფოტოკონკურსში და ჟურნალისტიკის სტუდენტურ კონკურსებში



გამარჯვებულებიც. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო „წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის“ გადაეცათ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ კონკურსანტებს. აქედან ჩვენი ყურადღება ორმა გამარჯვებულმა მიიპყრო: ტიმოთი ბალუგელი ქართველოლოგიის დარგში მოღვაწე წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერია; სალომე ბელქანია საუკეთესო სტუდენტური ნაშრომის ავტორი საგაზეთო/საჟურნალო ფორმატში, მიძღვნილი ინოვაციურ თემატიკას.

გამარჯვებულებმა მიიღეს როგორც ფულადი, ასევე მინის გრავირებული ჯილდოები და სერტიფიკატები. წელს პირველად, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოში სამეცნიერო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დამსახურების სერტიფიკატები გადაეცა 24 მეცნიერს.

ნომინანტებს სიტყვით მიმართეს და წარმატება მიულოცეს ვიცე-პრემიერმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯავახიანი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა და საზოგადოებისთვის ცნობილმა პირებმა.

„წარმოდგენილია შედეგით სახელმწიფოდ, თუ მეცნიერები არ გვეყოლებიან შესაბამისად დაფასებული და მათ არ ექნებათ განვითარების შესაძლებლობა. 9 საუკუნის ითვის ჩვენი სამეცნიერო ისტორია, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ფეხი აეყოლებინა როგორც ჰუმანიტარული, ასევე ტექნოლოგიური განვითარების სიახლეებისთვის. სამწუხაროდ გვექონდა გარკვეული პაუზაც პროგრესის თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში



საერთაშორისო ურთიერთობებმა ხელი შეუწყო უმაღლესი სასწავლებლების განვითარებას როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. საერთაშორისო თანამშრომლობის, მათ შორის, ჰორიზონტ 20/20-ის და შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის დამსახურებით, მე ვფიქრობ, გვაქვს უნიკალური შესაძლებლობა, რომ კვლავ სათანადო სიმძლავრე დადგეს ჩვენი მეცნიერება და რაც მთავარია, გვაქვს პოლიტიკური ნება და მაქსიმალური ხელშეწყობა, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ქართველი მეცნიერი იყოს წარმატებული და აღიარებული.“ – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

რედაქტორი

პროფესიული განათლება

ყველაზე სწრაფი და მარტივი გზა დასაქმებისკენ

რაჭაში, კერძოდ ამგროლაურში, 1982 წლიდან ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი. სხვადასხვა პერიოდის რეორგანიზაციების შედეგად, რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება, ფუნქცია და მდებარეობა. აღნიშნული სასწავლებელი განთავსებული იყო, მისთვის სპეციალურად აშენებულ, იმ დროისთვის თანამედროვე შენობა-ნაგებობაში, შენობის სახელია, ფლორდა საკამოდ ქარბ მატარიალურ-ტექნიკურ პაზას. 1991 წელს მოხდა რეორგანიზაცია და იმ დროის პოლიტიკურმა ვითარებამ, თითქმის მთლიანად გაანადგურა აღნიშნული პაზა. 1991 წლიდან სასწავლებელმა ფუნქციონირება განაახლა ამგროლაურის ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური ტარითორიაზე. 2010-11 სასწავლო წელს განხორციელდა რეორგანიზაცია, შეცვლილი საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად, ჩამოყალიბდა სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერკვანი“, როგორც რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონის პროფესიული მომზადების სასწავლო დაწესებულება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2011 წლის ივლისში დაიწყო და 2013 წლის სექტემბერში დასრულდა ახალი თანამედროვე ტიპის სასწავლო კორპუსის მშენებლობა,

ამგროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის №10-ში. პროფესიული განათლების და დასაქმების სფეროების შესაბამისად, სასწავლებელი ახორციელებდა სტუდენტთა მომზადებას როგორც სახელობო პროგრამებში, ასევე ახორციელებდა მოკლევადიან გადამზადების კურსებს, UNDP-ის და USAID-ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, სხვადასხვა სფეროებსა და პროფესიებში: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ტურიზმი, ხელოვნება და სხვ.

კოლეჯის „ერკვანი“ მისიანია: თანამედროვე პროფესიული განათლების და სწავლად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, მოაზარდოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები; სტუდენტებს შესთავაზოს სტანდარტით გათვალისწინებული მისამართ საფუძვლის მაღალი ხარისხის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ტრენინგ-კურსები, რომელსაც თან ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (პროფესიული დიპლომი) გაცემა; ასევე შეუზღუდავად მისცეს შესაძლებლობა, დაუფლონ ახალ პროფესიას, შეიცვალონ პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია პრინციპით, პროფესიული განათლება



მთელი სიცოცხლის მანძილზე დასაქმებისათვის. პროფესიული კოლეჯის დაარსების, სწავლების, სიხალისისა და მომავლის გზებზე მისი პირველი პროფესიული კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ილია ომხარაძე.

– 2013 წელს გავიარეთ ხელახალი, სრული ავტორიზაცია, რის საშუალებითაც დავიმატეთ ექვსი საგანმანათლებლო პროგრამა: ტრაქტორისტ-მემანქანე, მეღვინე, ვეტერინარი, მემინანქრე, იუველიერი და ბუღალტერი. 2015 წელს ცვლილება შევიდა პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამებში, ამიტომ ხელახლა მოვიწვინა ავტორიზაციის გავლა, დაიწყო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. ჩვენ ავტორიზაცია მხოლოდ ბუღალტერ-ტექნიკოსის პროგრამაზე გავიარეთ, რადგან მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულება ვართ. ამან, თავისთავად, გამოიწვია ბუღალტრის ძველი პროგრამის გაუქმება, თუმცა, 2018 წლიდან ახალი პროგრამა დამტკიცდება, რის გამოც, არსებული მიღწევად რეჟიმში წავიდა. საგნობრივი პროგრამის განხორციელების უფლება, 2019 წლიდან, არცერთ კოლეჯს აღარ ექნება. ამჟამად, ბოლო ჯგუფი გვყავს, რომელიც სწავლებას დასრულებს და ბუღალტერ-ტექნიკოსის პროგრამაც ამით დამთავრდება. იმედი მაქვს, ახალი კანონის გამოსვლის შემდეგ შევძლებთ, რომ უმაღლესი საფეხურის პროგრამებიც განვახორციელოთ, რადგან საფეხურები (ახალი კანონით) გაუქმდება და სწავლება იქნება დონების (მესამე, მეოთხე და მეხუთე) მიხედვით. ამიტომ ყველას მოგვცემა საშუალება, განვახორციელოთ ეს პროგრამები. დღეის მდგომარეობით, იმისთვის, რომ მეოთხე-მეხუთე საფეხურის პროგრამები განვახორციელოთ, საჭიროა საზოგადოებრივ კოლეჯად გადაკეთება, რაც სხვადასხვა ეტაპებს მოიცავს – მატერიალური ბაზის შეცვლა, ადამიანური რესურსის მართვა-განვითარება და სხვა საჭიროებები. ამ ეტაპზე, მხოლოდ ეს შენობა გვაქვს ავტორიზებული, თუმცა გვაქვს ძველი შენობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ბაზაზე, სადაც ასევე დგას ერთი შენობა-ნაგებობა, ერთი დამხმარე ნაგებობა – სადურგლო სახელოსნო, ასევე სკოლის საფუტკრე მეურნეობა, მინი-გადამამუშავებელი თაფლის საწარმო და 21 000 მ² მინა არასასოფლო სამეურნეო. ველოდებით ახალ კანონს, რის მიხედვითაც დავგეგმავთ განვითარებას, რა და როგორ შეიძლება გაკეთდეს. ამ ეტაპისთვის, ავტორიზაცია 105 სტუდენტზე გვაქვს გავლილი, თუმცა, სამწუხაროდ, ერთი შევსებით, 105 სტუდენტი ვერ მივიღეთ.

– ამჟამად, სტანდარტით გათვალისწინებულ რამდენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სთავაზობს კოლეჯი „ერკვანი“ სტუდენტებს?

– 2017 წლის სასემინარო მიღება 5 პროგრამაზე გამო-

ვაცხადეთ (მეფუტკრე, ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი, ტრაქტორისტ-მემანქანე, იუველიერი, მემინანქრე). სამწუხაროდ, ერთი პროგრამა – ვეტერინარია ჩავარდა, ჯგუფი ვერ შედგა. კანონით განსაზღვრულია, რომ, მინიმუმ, 5 სტუდენტზე უნდა გაიხსნას ჯგუფი, თუმცა, ბიუჯეტიდან გამომდინარე, შემძლია თავად მივიღო გადაწყვეტილება. მინიმუმ, 11 სტუდენტი მაინც უნდა იყოს მსურველი ვეტერინარის პროგრამაზე, რომ ჯგუფი გაიხსნას. სამწუხაროდ, წელს, სამ სტუდენტზე მეტი არ დარეგისტრირდა. ყოველ წელს (საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღებაზე) ვაცხადებთ მიღებას ვეტერინარის პროგრამაზე, რადგან ძალიან ძლიერი პარტნიორი გვყავს – ქართულ-შვეიცარიული კომპანია, მეცხოველეობის ფერმა „ბლაუნშტაინ საქართველო“, სადაც ჩვენი კურსდამთავრებულები გარკვეული ნაწილი (რა თქმა უნდა, ვინც თავი გამოიჩინა) უკვე დასაქმებულია. ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ ბუგელის ღვინის ქარხანასთან, შპს „ალექსანდროვთან“; ტრაქტორისტ-მემანქანის პროგრამის ფარგლებში, ვთანამშრომლობთ შპს „მეკანი-ზატორთან“; ბუღალტერ-ტექნიკოსის პროგრამაზე – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და სხვადასხვა აიპი-ებთან, სადაც კი ბუღალტრული წარმოება მიმდინარეობს. ასე რომ, საკმაოდ აქტიურად ვთანამშრომლობთ ბევრ ორგანიზაციასთან.

– პროფესიულ განათლებაში დუალური სწავლების დანერგვა ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. ხორციელდება თუ არა „ერკვანი“ დუალური განათლების პრინციპით სწავლება და კერძოდ რომელ პროგრამაზე?

– სწორედ პროფესიული კოლეჯი „ერკვანი“ ერთ-ერთი პირველი მერცხალი, რომელმაც დაიმატა მეფუტკრის პროფესია დუალური მიმართულებით. გავიარეთ ავტორიზაცია და უკვე განხორციელდა აპლიკანტთა რეგისტრაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ (დუალური სწავლება, მესამე საფეხური, სწავლის ხანგრძლივობა – 14 თვე). აღსანიშნავია, რომ გვყავს შესანიშნავი პარტნიორი – სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) სწავლების განხორციელების მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ერკვანსა“ და საწარმოს „რაჭის ნატურალური პროდუქტები“ შორის. ეს კომპანია თავიდანვე აქტიურად ჩაერთო პროგრამის შედგენაში, მისაღებ გამოცდებში. რამდენიმე დღის წინ, პირველადი გასაუბრება ჩატარდა აპლიკანტებს, რომლებმაც უნდა ისწავლონ და იმუშაონ საწარმოში (ამ ეტაპზე მხოლოდ 7 სტუდენტი). მათ მაღალი ქულები დაიმსახურეს პირველად გასაუბ-

რებაზე და 29 ოქტომბერს საერთო პროფესიული ტესტირება გაიარეს დაფინანსების მოსაპოვებლად. სტუდენტებს, შესრულებული სამუშაოებისათვის, სწავლების პროცესში, კომპანია სტიმენდიას გადაუხდის, ოღონდ ეს სამუშაოები სეზონური იქნება. ყოველთვიური ანაზღაურება, საშუალოდ, 120 ლარით განისაზღვრება. სტუდენტები, დაახლოებით, 60 პროცენტს – პრაქტიკული ნაწილისა და პროფესიის დაუფლებისთვის საჭირო უნარებს, მთლიანად, საწარმოში დაეუფლებიან, ხოლო პროფესიული განათლების (თეორიული ნაწილი) 40 პროცენტი განხორციელდება სასწავლებელში, რომელიც სტუდენტებს სრულად დაუფინანსდება სახელმწიფოსგან.

– რომელი ყველაზე მოთხოვნი პროფესია?

– ამ ეტაპზე სტუდენტებს ვთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ, მესამე საფეხურის მაღალი ხარისხის პროგრამებს: ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი, ხანგრძლივობა – 7 თვე; მემინანქრე, ხანგრძლივობა – 6 თვე; იუველიერი – ხანგრძლივობა – 6 თვე; ტრაქტორისტ-მემანქანე, ხანგრძლივობა – 6 თვე; მეღვინე, ხანგრძლივობა – 10 თვე; ბუღალტერ-ტექნიკოსი (მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა), ხანგრძლივობა – 14 თვე. ყველაზე მოთხოვნიდა ყოველთვის იყო და არის ბუღალტერი, ბუღალტერ-ტექნიკოსი. დიდი მოთხოვნა იყო ვეტერინარის პროგრამაზე, თუმცა, როგორც გითხარით, წელს, ეს პროგრამა ჩავარდა. შემდეგ მოდის მოთხოვნა მეღვინეობაზე, რაც შეეხება მეფუტკრის პროფესიას, აქტიური მოთხოვნა იყო და დღესაც ასეა, მაგრამ ვინაიდან კომპანია (რაჭაში ერთადერთი სრულყოფილი კომპანია „რაჭის ნატურალური პროდუქტები“) თავის თავზე აიღო დაფინანსება, 7 სტუდენტზე მეტი ვერ ავიყვანეთ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტს საწარმოში ისევე მოუწევს შრომა, როგორც სხვა დაქირავებულ თანამშრომელს, თუმცა, როგორც არასრულწლოვანს, ექნება შეზღუდული სამუშაო საათები. ის, რასაც სხვა დაქირავებულ თანამშრომელი აკეთებს, სტუდენტს არ ევალება, მაგრამ როდესაც ფუტკარი მთაბარბოსი ფაზას გადის, მათაც საკმაოდ დატვირთული მუშაობა უწევთ.

– რამდენი სტუდენტი დარეგისტრირდა საშემოდგომო მიღებაზე, როგორი იყო აპლიკანტთა აქტივობა და, ზოგადად, რას მიიჩნევთ პროფესიულ სასწავლებლებში ჩაბარების მსურველთა პასიურობის მიზეზად?

– ყოველთვის, როცა სკოლებში შევდივარ და ავტორიზაციის ვენევი, ხაზგასმით ვუბნები მოსწავლეებს, რომ ეს არის ყველაზე სწრაფი, მარტივი გზა დასაქმებისკენ, რომელიც საშუალებას იძლევა, არჩეულ სპეციალობაში საკმაოდ მაღალკვალიფიციური ცოდნა-გამოცდილება მიიღო და თუ თავს გამოიჩინ, იმავე კომპანიაში დასაქმდეს, სადაც პრაქტიკას გადის. ამ ეტაპზე, კოლეჯში დარეგისტრირებულია 36 აპლიკანტი, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებიდან. თუმცა, როგორც გითხარით, ავტორიზაცია 105 სტუდენტზე გვაქვს გავლილი.

პასიურობას რამდენიმე მიზეზი აქვს – სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს ძველი დამოკიდებულება, რომ ეს არის პროფი, დაბალი განათლების მიმწოდებელი დანესებულება. მახსოვს, გაკვეთილს თუ არ ვისწავლიდი, დედაჩემი მეუბნებოდა – ნახვალ პროფში! სტერეოტიპი ბოლომდე ჯერ კიდევ არ დანგრეულა – აუცილებლად ყველამ უმაღლესში უნდა ისწავლოს. არ დაგიმალოვთ, რამდენიმე წლის წინ, მეც უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა პროფესიული სასწავლებლის მიმართ, მაგრამ რაც ამ სისტემაში ჩავერთე (2012 წლიდან – დირექტორის მოადგილე), მივხვდი, რომ სულ სხვა სისტემასთან გვაქვს საქმე. მისაგაღმებელია, რომ ჩვენმა სახელმწიფომ პროფესიული განათლების გაძლიერება პრიორიტეტად გამოაცხადა, თვითმმართველობაც წელს-წელს, მაგრამ უფრო მეტად გვიდგას მხარში. ვხედავთ, როგორ აქტიურად ვითარდება ტურიზმი რეგიონში, ამიტომაც შემოგვაქვს პროფესიულ განათლებაში ის პროფესიები, რომელიც ტურიზმს უკავშირდება.

ერთ-ერთი პრობლემა საერთო საცხოვრებლის არარსებობაა. მოლაპარაკებას ვანარმოებთ განათლებისა და მეცნიერე-



პროფესიული განათლება



ბის სამინისტროსთან და იმედი მაქვს, რომ მივალწვეთ საერთო საცხოვრებლის აშენებას. აქტიურად გვიჩვენებს მხარს გუბერნატორი არჩილ ჯაფარიძე. გამომდინარე იქიდან, რომ, მაგალითად, ცაგერისა და ლენტეხიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეზღუდულად მოძრაობს, ამ რაიონებიდან ბევრ მსურველს ვკარგავთ. მოთხოვნა მართლაც დიდია. ჩვენ მათ ყველა პირობა უნდა შევუქმნათ, რომ გაცდენების გარეშე გაიარონ ჩვენთან თეორიული ნაწილი, ხოლო პრაქტიკული ნაწილი - ცაგერსა და ლენტეხში, როცა საგაზაფხულო სამუშაოები აქტიურ ფაზაში შევა.

ასეთი პრეცედენტი უკვე გვქონდა - 2015-16 წლებში 16 სტუდენტი გვყავდა ონიდან. შეთანხმების თანახმად, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სტუდენტებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამოყო, მათ მიკროავტობუსი ემსახურებოდა და მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტს ონის მუნიციპალიტეტი აფინანსებდა, დარჩენილ ხარჯს - თავად სტუდენტი ფარავდა. რადგან წელს ონიდან სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, ამიტომ მათ საკუთარი ხარჯით მოუწევთ კოლეჯში სიარული. თუ მსურველთა რაოდენობა გაიზრდება, რა თქმა უნდა, კვლავ შესაძლებელი იქნება ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ანალოგიური ფორმით თანამშრომლობა.

- როგორ ფიქრობთ, თუ ცხრაკლასდამთავრებულთათვის ე.წ. საკანონმდებლო ჩიხი აღარ იქნება ატესტატის ასაღებად დაბრკოლება, გაიზრდება თუ არა პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რიცხვი?

- ახალი კანონი, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა მიიღოს პარლამენტმა, ნაწილობრივ მაინც მოხსნის პრობლემას. რატომ არ უნდა ჰქონდეს, მაგალითად, მეღვინეს, რომელმაც მესამე საფეხური დაამთავრა, უფლება, სწავლა მეოთხე-მეხუთე საფეხურზე გააგრძელოს, შემდგომ - უმაღლეს სასწავლებელში, რათა სრულფასოვანი მეღვინე გამოვიდეს. რა თქმა უნდა, მისასაღებელია, რომ ახალი კანონი ამის საშუალებას მოგვცემს, ასევე პროფესიული სასწავლებლის ცხრაკლასდამთავრებული სტუდენტის დიპლომი გათანაბრებული იქნება საშუალო განათლების ატესტატთან. აგრეთვე, თუ სტუდენტი უმაღლესში იმავე პროფესიაზე გააგრძელებს სწავლას, სავარაუდოდ, პროფესიულ სასწავლებელში დაგროვილი ქულები ჩაბარების დროს დაეხმარება.

ყველამ კარგად ვიცით, რომ არსებობს პროფესიები, რომელშიც პროფესიული განათლებაა საჭირო და არა უმაღლესი. თუკი პროფესიების დიფერენცირება სახელმწიფო დონეზე მოხდება - რა არის უმაღლესი განათლების და რა პროფესიის, დამერწმუნეთ, ეს შენობა, რომელიც ამჟამად ვიმყოფებით, საკმარისი არ იქნება, პროფესიულ სასწავლებელზე მოთხოვნა უდავოდ გაიზრდება.

- როგორც ცნობილია, ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში

დაიწყო ახალი პროექტის - შრომითი უნარების პროგრამის განხორციელება, რომელიც პროფესიულმა კოლეჯებმა, სკოლებთან თანამშრომლობით, სკოლის ბაზაზე უნდა განახორციელონ. იღებთ თუ არა აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას?

- რასაკვირველია, ვმონაწილეობთ. აღსანიშნავია, რომ აქამდე სკოლებს და პროფესიულ სასწავლებლებს მსგავსი ერთობლივი პროექტი არ ჰქონიათ. ეს გახლავთ, სხვადასხვა სახელობო მიმართულებების მიხედვით, თემატური მოდულების სწავლება, კონკრეტული სკოლის მოთხოვნის საფუძველზე, ანუ თანამედროვე შრომის გაკვეთილები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, როგორც კი გამოაცხადა კონკურსი - შრომითი უნარების განვითარება სკოლებში, 4 პროექტი წარვადგინეთ ორ სკოლაში: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე საჯარო სკოლასა (ჩემი მშობლიური სკოლა) და ონის მუნიციპალიტეტის სიმონ სხირტლაძის სახელობის პირველ საჯარო სკოლაში. თითოეულში შევიტანეთ მემინანქრისა და იუველირის სპეციალობები. რადგან ორივე სახელობო პროფესიაა, ვფიქრობ, ბავშვები მეტად დაინტერესდებიან. ოთხივე პროექტში გავიმარჯვეთ და დაფინანსებაც მოვიპოვეთ. სკოლებში უკვე დაივიწყეთ აქტიური მუშაობა, შედგა ჯგუფები, თითო ჯგუფი გათვლილია 10 მოსწავლეზე, ჯამში, შრომის გაკვეთილებს 40 მოსწავლე გაივლის. პრაქტიკული გაკვეთილების დასრულების შემდეგ, მათ სერტიფიკატები გადაეცემთ. აღსანიშნავია, რომ ორივე სკოლაში 24 000 ლარის ინვესტიარს შევიტანეთ და პროექტის დასრულების შემდეგ, საჩუქრად დავეულოებთ სკოლებს. იმედია, მსგავსი პროექტები მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენ ახალი პროფესიებითა და მიმართულებებით რეგიონის სხვა სკოლებსაც მოვიცავთ.

- რამდენად ზრუნავს კოლეჯი „ერქვანი“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის სათანადო პირობების შესაქმნელად?

- ჩვენ გვყავდა შშმ პირი გურამ გოგობერიძე, რომელმაც კოლეჯის დამთავრების შემდეგ, საკუთარი საიუველირო გახსნა და თავად დაიწყო საიუველირო ნაწარმის დამზადება. გურამთან დღესაც აქტიურად ვთანამშრომლობთ, გაავფორმეთ მემორანდუმი - პრაქტიკულ ნაწილს, სახელობო პროფესიებში (მემინანქრე და იუველირი), სტუდენტები მასთან გადიან, აქტიურად მუშაობენ და წარმატებით ეუფლებიან ხელობას. ამჟამად გვყავს სხსმ სტუდენტები. მათთვის კოლეჯში ყველა პირობა შექმნილი.

- რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლებისა და განვითარების პირობებს. არსებობს თუ არა ამისთვის სათანადო ტექნიკური ბაზა?

- რაც შეეხება ბაზებს, ამისთვის ძალიან დიდი ახდლობა მინდა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელმაც ჩვენი კოლეჯი სრულად აღჭურვა (105 სტუ-

დენტისთვის) კომპიუტერული ტექნიკით, ყველა საჭირო ინვენტარით, სასწავლო მასალებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მართალია, პრაქტიკულ ნაწილში, ზოგიერთ სპეციალობებში, არ გვაქვს სახელოსნოები, მაგრამ ამისთვის არიან პარტნიორი ორგანიზაციები და ჩვენი სტუდენტები მათთან გადიან პრაქტიკას. მართალია, უმჯობესია, სტუდენტებმა პრაქტიკა უშუალოდ საწარმოში გაიარონ, თუმცა არსებობს პროფესიები, სადაც სასურველია, პირველადი პრაქტიკული ნაწილი ადგილზე გაიარონ და შემდეგ მივიდნენ საწარმოში. ამისათვის, გარდა საერთო საცხოვრებლისა, საჭიროა, აშენდეს სასწავლო სახელოსნოები, რომლებიც უნივერსალური იქნება - თეორიული და პრაქტიკული ნაწილი ერთ სივრცეში განხორციელდება. ასე ადვილი იქნება, სხვადასხვა პროგრამების მიხედვით, სასწავლო გარემოს ადაპტირება. იმიტომ რომ, პროფესიული განათლება ეს არ არის უმაღლესი განათლების სისტემა, სადაც მუდმივად მხოლოდ ერთი პროფესია ისწავლება. დღეს შეიძლება მოთხოვნა იყოს დურგალზე, ხვალ კი - მეფულეზე, ამიტომ კოლეჯმა ძალიან სწრაფად უნდა შეძლოს, მოერგოს იმ პროფესიას, რომელიც შრომის ბაზარზე, დროისა და გარემოების შესაბამისად, მოთხოვნილია. კოლეჯში ფუნქციონირებს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორია - ფაბლაბი, რომელიც აღჭურვილია: 3D პრინტერით, ჭკვიანი პროექტორით, ვაკუუმტუმბოთი, გრაფირებისა და ლაზერული ჭრის აპარატებით; გვაქვს ბიბლიოთეკა, ყველა საჭირო ლიტერატურით, ასევე, მეორე ბიბლიოთეკა, რომელიც ძველ შენობაშია განთავსებული, 2100 ნიგანიდი ფონდით (როგორც პროფესიების შესაბამისი, ასევე მხატვრული ლიტერატურა); აღსანიშნავია, რომ ჩვენმა კოლეჯმა ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა მინანქრის და იუველირის სპეციალობა. ჩვენი დიზაინით დამზადდა სამუშაო მაგიდები, გვაქვს უნიფორმები. ძალიან დიდი გადახარჯვა რომ არ მოგვივიდეს, სწავლის პროცესში, სტუდენტები იყენებენ თუნუქს. როდესაც გავარჯიშდებიან, უკვე ვერცხლზე მუშაობენ. იუველირიც, თავდაპირველად, სპილენძზე მუშაობს და შემდეგ გადადის ვერცხლის ნაკეთობებზე. კოლეჯი ცენტრალურად თბება და გრილდება.

- არის თუ არა კოლეჯი პროფესიული კადრებით დაკომპლექტებული და რამდენად ზრუნავთ პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე?

- ერთ-ერთი პრობლემა, გარდა ზემოთ დასახელებულისა, პროფესიონალი კადრების დეფიციტია. მოგეხსენებათ, რაჭიდან ძალიან დიდია მიგრაცია. თუმცა, ჩვენი კოლეჯი უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგებითა და კომპლექტებული, საკმაოდ მაღალი დონის მასწავლებლები ახსნავიან პროფესიებს. რაც შეეხება ახალ პროფესიებს, გვაქვს პრობლემა - გავი პროფესიას, კვალიფიციური კადრების არარსებობის გამო, ვერ ვეჭიდებით, მიუხედავად იმისა, რომ სახელფასო განაკვეთი ჩვენთან უფრო მაღალია, ვიდრე სხვაგან (35 პროცენტით მაღალია მასწავლებლის ხელფასი, მოქმედებს მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი). რეალურად, რეგიონში კადრი ძნელად მოიძებნება. აქაც ერთ-ერთი მიზეზი საერთო საცხოვრებლის არარსებობაცაა. საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, მაღალი ანაზღაურება, ვფიქრობ, კვალიფიციური კადრების მოზიდვის საშუალებას მოგვცემს.

- რას გვეტყვით მომავლის გეგმების შესახებ?

- დაგეგმილი გვაქვს, რომ გაზაფხულიდან ახალი პროფესიები დავიმატოთ, რასაც, ვფიქრობ, შემოყვება ახალი ნაკადი, იმიტომ რომ, ეს ექვსი პროფესია, რომელზე სწავლებაც სტაბილურად მიმდინარეობდა, მეტ-ნაკლებად ბიჭებზეა მორგებული, ამიტომ ცოტა ნაკლებაა გოგონების აქტივობა. ამ კუთხით, ბევრი მუშაობა მოგვინებს სკოლებში, მოსწავლეებთან. განსაკუთრებით ტურიზმის სფეროს ვგულისხმობ - სასტუმრო საქმე, მთაში გამყოლი გიდი, კულტურული გიდი, სარესტორნო საქმე. ტურისტების ნაკადის შემოდინებას თავისთავად ახლავს კვების ობიექტების განვითარება. დიდი პრობლემაა მომსახურების სფეროში. ვფიქრობ, შემოვიტანო მზარეულის პროფესია, ასევე საჭიროა აგრონომები, რომელთა სწავლების უფლება ჩვენს სისტემას არ აქვს, მაგრამ შეგვიძლია მიახლოებული სპეციალობები ავირჩიოთ, მაგალითად - ლაბორანტები, რომლებიც ნიადაგის ლაბორატორიულ კვლევას ჩაატარებენ, ანალიზს აიღებენ სხვადასხვა კვლევებისთვის. ასე რომ, შესაძლებელია, ამ მიმართულებით, აგარულ უნივერსიტეტთან ერთად ვიფიქროთ. სამწუხაროა, რომ რაჭაში არ არის უმაღლესი სასწავლებელი, თორემ ერთობლივი თანამშრომლობით ბევრი კარგი პროექტის განხორციელება იქნებოდა შესაძლებელი.



კვლევა

ბარიერები ეთნიკურ უმცირესობათა ახალგაზრდების დასაქმებაში საქართველოში კოლიტიკის ფონზე

ლალი ჯელაძე

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა (CCHR), „საქართველოს გაეროს ასოციაციის“ „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ფინანსდება „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ მიერ, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (თსუ-ს, ილიაუნის, სამედიცინო, ტექნიკური და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების მონაწილეობით) ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ კვლევა ჩატარდა. კვლევის მიზანი იმ პირობებისა და შესაძლებლობების შესწავლა იყო, რომელიც დღეს არსებობს დასაქმების ბაზარზე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის. ორგანიზაცია შეეცადა გაერკვია, რა მოთხოვნები და ტენდენციები არსებობს ქვეყანაში ზოგადად დასაქმების ბაზართან მიმართებით; რა ტიპის გამოცდილება, დამოკიდებულება და მოლოდინები გააჩნიათ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს კარიერული წინსვლისა და დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებით; ასევე, რამდენად აძლევს ქართული უნივერსიტეტები მათ დასაქმების მოთხოვნების შესაბამის პროფესიულ ცოდნასა და უნარებს და რა როლი აქვს ამ ყველაფერს სტუდენტთა თუ კურსდამთავრებულთა კარიერულ დაგეგმვასა და განვითარებაში.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის განათლების სპეციალისტი, მკვლევარი ნათია გორგაძე ამბობს, რომ კვლევის სამიზნე ის სახელმწიფო უნივერსიტეტები იყვნენ, რომლებიც ე.წ. 4+1 პროგრამებს ახორციელებენ ეთნიკური უმცირესობების მიმართ განხორციელებული საშუალო პოლიტიკის ფარგლებში: „მართალია, კვლევის მთავარი აქცენტები სწორედ 4+1 პროგრამის კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების დასაქმებაზე გაკეთდა, მაგრამ საკითხის ამ კუთხით ანალიზისათვის, საინტერესოდ მივიჩნით შეგვესწავლა ის ზოგადი ფონი, რომელიც ქვეყანაში ახალგაზრდების დასაქმების კუთხით არსებობს. კერძოდ კი, რა პერსპექტივები აქვთ ახალგაზრდებს კარიერის დაგეგმვისა და დასაქმებისათვის. ვფიქრობთ, რომ სწორედ ზოგად კონტექსტთან მიმართებით უნდა მოხდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივების განალიზება. სწორედ ამიტომ, კვლევის მიზანი იყო, ერთი მხრივ, შევესწავლა, ზოგადად, რა ხდება დასაქმების ბაზარზე და მეორე მხრივ, ახალგაზრდებისათვის რა შესაძლებლობები და ხელშეწყობა არსებობს დასაქმების თვალსაზრისით. მეორედ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ სურათი მართლაც არასახარბიელოა როგორც ეთნიკური უმცირესობების, ისე ქართული ახალგაზრდებისთვის. 2016 წელს ებერთის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა“ შედეგების მიხედვით, 14-29 წლის ახალგაზრდების 19% სრული განაკვეთითა დასაქმებული, ხოლო 7% - ნახევარ განაკვეთზე ან თვითდასაქმებული. დასაქმების შესაძლებლობები საგრძნობლად მეტია დედაქალაქში, თბილისში, სადაც ახალგაზრდა მოსახლეობის 27%-ია დასაქმებული სრულ განაკვეთზე, მაშინ როცა სოფლად ახალგაზრდების მხოლოდ 11%-ს აქვს იგივე სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის ყოველი მეორე (46%) ახალგაზრდა უმუშევარია. საგულისხმოა ისიც, რომ ებერთის ფონდის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების მიხედვით, დასაქმებული ახალგაზრდების 31% საკუთარი პროფესიით მუშაობს ნაწილობრივ ან სრულად, ხოლო 35% არ არის პროფესიით დასაქმებული. თუ ამ მონაცემებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით კიდევ უფრო ჩავუღრმავებთ, დავინახავთ, რომ დასაქმებულთა ამ პროცენტულ მაჩვენებელში 25-29 წლის ახალგაზრდების ნილი გაიცლებით მეტია, რაც ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ბაკალავრის საფეხურის პროგრამების სტუდენტებისა და ახალკურსდამთავრებულებისათვის დასაქმების ბაზარი კიდევ უფრო მეტად შეზღუდულია, ვიდრე, მაგალითად, სამედიცინო და უფრო მაღალი საფეხურის პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის. ეს კი გვაძლევს იმის ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ დასაქმების ბაზარი ნაკლებად არის პერსპექტივით არაქართულენოვანი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივებზეც.“

ბოლონის პროცესის პრინციპების განხორციელების შესაბამისად, უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს კარიერული წინსვლისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები (სახეცვლილი დასახელებით და სტრუქტურით), რომლებიც, ერთი მხრივ, სტუდენტებს დასაქმებისთვის ამზადებენ და, მეორე მხრივ, ხელს უწყობენ დასაქმებულსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობის გაღრმავებას. მსგავსი ცენტრები კვლევის სამიზნე ყველა უნივერსიტეტშია. თუმცა, ცენტრების/სტრუქტურების კვლევისას ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ფუნქციონალური და ეფექტური ერთეულებია ეს საუნივერსიტეტო ცენტრები? „თუ ცენტრი ვერ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად ადამიანს შეუწყობს ხელი დასაქმება ან რამდენად გააიარა პრაქტიკა მისი ხელშეწყობით, ეჭვის ქვეშ დგება ამ სტრუქტურების ზუსტი ორიენტირებისა და სტრატეგიული ხედვის საკითხები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თითოეულ სტრუქტურას, რომელიც სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული

დაგეგმვისა და დასაქმების ხელშეწყობას ისახავს მიზნად, აქვს დებულება, რომელიც, დახუნძულია მრავალფეროვანი ფუნქციებით. თუმცა, სწორედ ამ მრავალფუნქციონალობისა და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ჩნდება ვარაუდები, რომ მათ უფრო მეტად ფორმალური დანიშნულება შეიძლება ჰქონდეთ, ვიდრე შინაარსობრივი დატვირთვა.

კვლევის ფარგლებში, დოკუმენტაციისა და უნივერსიტეტების ვებგვერდების ანალიზის შედეგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტებში დასაქმებისა და კარიერული განვითარებისათვის სტუდენტების მომზადების ხედვა არასაკმარისად და არაჯეროვნადაა ინტეგრირებული საუნივერსიტეტო განათლების მიზნებსა და დანიშნულებებში. ამის დასტურად ასევე შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სტრუქტურებში არ არის საკმარისი კადრები იმისათვის, რომ ეფექტურად უზაუსხონ იმ დეკლარირებულ ამოცანებს, რომლებიც უნივერსიტეტების წინაშე დგას. ცენტრებს, ჯამში, ერთი ან მაქსიმუმ ორი საშუალო ერთეული აქვთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკრეტული მიმართულებისა და აქტივობებისათვის ცენტრების აუთოსორსინგს მიმართავენ, ამხელა უნივერსიტეტებში სტუდენტების საჭიროებების კოორდინაციისთვისაც კი, ამ რაოდენობის ადამიანური რესურსები ვერ იქნება საკმარისი. – ამბობს ნათია გორგაძე.

საგულისხმოა ასევე, რომ კარიერული წინსვლისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის შესახებ ინფორმაციას კვლევის ფარგლებში განხორციელებული ფოკუსჯგუფის მონაწილე არც ერთი კურსდამთავრებული არ ფლობდა. მინიშნებების შემდეგ კი, ერთ-ერთმა გაიხსენა, რომ უნივერსიტეტის რომელიღაც სამსახურის ხელშეწყობით, ყოველ წელს, ეწყობა დასაქმების ფორუმები, ასევე სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრები, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ არც ერთ წელს ასეთ ფორუმში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ამის საჭიროებას ვერ ხედავდა. კურსდამთავრებულები ფიქრობენ, რომ მსგავსი ცენტრების ფუნქციონირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუკი მათ შესახებ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია ექნებათ.

„დასაქმების ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესწავლამ 3-წლიან ჩრილში, რომელიც ვებგვერდზე – www.jobs.ge – არსებული ვაკანსიების ანალიზს გულისხმობდა, აჩვენა, რომ ვაკანსიების 80 პროცენტში მოთხოვნითა არა მხოლოდ სუფთა პროფესიული უნარ-ჩვევები, არამედ ის გამჭოლი კომპეტენციები თუ კოგნიტიურ-ინსტრუმენტალური, პერსონალური მართვისა და პროფესიულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები, რომელიც რეალურად საჭიროა იმისთვის, რომ დასაქმდეთ. ამას ემატება ისიც, რომ ვაკანსიების მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია პროფესიული გამოცდილება და სამუშაო სტაჟი. შესაბამისად, თუკი სტუდენტი, სწავლის პროცესის პარალელურად, არ იქნება ჩართული საუნივერსიტეტო პრაქტიკაში, არ გაივლის სტაჟირებას ან არ ექნება დამსაქმებელთან უშუალოდ ურთიერთობის პრაქტიკა, ვერ დააგროვებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის სამუშაო გამოცდილებას.“ – აღნიშნა ნათია გორგაძე.

მუშაობის დაწყებისათვის ყველაზე აუცილებელ წინაპირობად, რესპონდენტები სპეციალობის პრაქტიკულ ცოდნას ასახელებდნენ, რომელიც შეესაბამება დასაქმებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს (64,1), ხოლო თეორიული ცოდნა, რომელიც კონკურენტუნარიან კანდიდატად გაქცევს, გამოკითხულთა თითქმის 44%-ს მიაჩნია აუცილებელ წინაპირობად. 32,8%-ის აზრით, პოზიციის შესაბამისი გამოცდილება აუცილებელია წინაპირობა სამუშაოს დაწყებისთვის. თავად პროფესიაზე მოთხოვნა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა ბაზრის მოთხოვნებთან გამოკითხულთა 23,4%-ს მიაჩნია მნიშვნელოვანად. ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი რესპონდენტებს ისეთი ნაცნობის ყოფილი მიაჩნიათ, რომელიც ვაკანსიაზე მიღებულ დამსაქმებელთან (21,9). გამოკითხულთა მცირე ნაწილი სხვა წინაპირობებს ასახელებს – სამსახურის შოვნისათვის დიპლომი და ენების ცოდნაა ძალიან მნიშვნელოვანია (რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, აერჩიათ ერთზე მეტი პასუხი. შესაბამისად, რომელიც უფრო გადამანათლებელი საერთო 100%-ზე მეტია).

გამოკითხულთა 82,5% მიიჩნევს, რომ ქართული ენის არასათანადოდ ფლობა ბარიერია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის, ხოლო 17,5%-ის აზრით, ქართული ენის არასათანადოდ ფლობა ბარიერია არ წარმომადგენს. ეთნიკურ ქართველებთან ინტერაქციისათვის არასაკმარისი მზაობა კი, გამოკითხულთა 65%-ზე მეტს მიაჩნია ბარიერად. ამასთან, დამსაქმებლის მიკერძოებულ ან ნეგატიურ დამოკიდებულებაზე დასაქმებულის მიმართ, ეთნიკური ნიშნით, ბარიერად გამოკითხულთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს (50,8%), 1,6% აცხადებს, რომ არ აქვს პასუხი, ხოლო 47,6%-ის აზრით ასეთი პრაქტიკა არ წარმოადგენს დასაქმებისათვის ბარიერს.

ნათია გორგაძე: „რეალურად, საკმაოდ ბევრი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტი გვყავს. მხოლოდ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათი რიცხვი, დაახლოებით, 1300-ია. სასიხარულო და კარგია, ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მიღებისათვის მზაობის მზარდი ტენდენცია. ფოკუსჯგუფის მონაწილეთა იმაზეც კი საუბრობენ, რომ ეთნიკური უმცირესობები უნივერსიტეტურად დასახლებულ თემებში, პრესტიჟულად ითვლება ქართულ უნივერსიტეტებში განათლების მიღება. ეს, თავისთავად, იმდენად პოზიტიური ტენდენციაა, რომ არამც თუ ხელი უნდა შეეშალოს რაიმე ტიპის გვერდითი მოვ-



ლენების გამო, არამედ ყველანაირი ძალისხმევა უნდა გამოვიყენოთ, რომ ასეთი პოზიტიური და ეფექტური პოლიტიკის შედეგები შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო გავაძლიეროთ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფოკუსჯგუფში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები და კურსდამთავრებულები დასაქმების პროცესის პერიოდში ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე ნაკლებად საუბრობენ, თუმცა ყურადღებას ამახვილებენ ლექტორების მხრიდან უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დისკრიმინაციის ფაქტებზე და აღნიშნავენ, რომ ასეთი შემთხვევები რეაგირების გარეშე და აღნიშნავენ, რომ ასეთი შემთხვევები უნივერსიტეტისა და შემთხვევების საშუალებით, ისინი უფრო თავდაჯერებულნი და მეტრძოლნი გახდნენ. და მაინც, რას მიიჩნევენ პროგრამის მონაწილე ახალგაზრდები დასაქმების ბარიერად? – დამსაქმებლის მიერ დისკრიმინაციული დამოკიდებულება ეთნიკური ნიშნით ნაკლებად დასახელებს, ვიდრე, მაგალითად, ქართული ენის არასაკმარისი ცოდნა. 4+1 პროგრამის ახალგაზრდების კვლევის შედეგების მიხედვით, მათთვის სახელმწიფო ენის სათანადო ფლობა ისევე ბარიერად რჩება და მათ ნაკლებად კონკურენტუნარიან ხდის საუნივერსიტეტო განათლების პროცესში. ერთ წელიწადში ენის სრულყოფილად შესწავლა, ბუნებრივია, უჭირთ. ცხადია, რომ ენის არაშესაბამისი ფლობა ბარიერია საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში სრულფასოვანი განათლებისათვის. თუმცა, 4+1 პროგრამის კურსდამთავრებულები, რომლებიც ჩვენს ფოკუსჯგუფებში იყვნენ მონაწილეები და სურვილი გამოთქვეს, თავიანთი მოსაზრებები გაეზიარებინათ, თავისუფლად საუბრობენ ქართულ ენაზე და იგებენ ყველაფერს, თუნდაც გარკვეული ტიპის შეცდომების ფონზე. ვასათვალისწინებელია, რომ ამ ტიპის ინტერაქციას უნივერსიტეტში სწავლის ხუთი წლის თავზე და დასაქმების შემდგომ პერიოდში ახერხებენ. თავისთავად, ეს უკვე უზარმაზარი მიღწევაა. ცხადია, თუ ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში მათ უკეთესი ხელშეწყობა ექნებათ, რომ მათი ინტეგრაცია საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მოხდეს ენობრივად და სოციალურად, თუ საბაკალავრო პროგრამების ფარგლებშიც მოხდება მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე მეტი ორიენტაცია, რა თქმა უნდა, შედეგებიც ბევრად უფრო შთამბეჭდავი იქნება.“

ფოკუსჯგუფის მონაწილეების აზრით, საუნივერსიტეტო განათლება უნდა უზრუნველყოს დასაქმებისათვის მნიშვნელოვანი განათლება და პროფესიონალიზმში, უნივერსიტეტის მთავარ როლსა და მნიშვნელობას სწორედ ამაში ხედავენ.

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტში სწავლა მათგან დიდ ჟინს, ძალისხმევასა და რეზისტენტულობას მოითხოვდა. „უნივერსიტეტმა მეტრძოლი გამხადა. ვინც მაქსიმალურად ცდილობდა, ყველაფერს აკეთებდა, რომ არ ჩამორჩენილიყო, ის კიდევაც აღწევდა შედეგს.“

უნივერსიტეტის მიერ კარგად განვითარებულ და აუცილებელ უნარებს შორის, მონდობა და შრომისმოყვარეობა დასახელებდა. მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი ბარიერი ყველაზე სერიოზულ გამოწვევადაა მიჩნეული, ფოკუსჯგუფის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ეს სირთულე ადვილად გადასალახია.

„უნა რომ არ იცის, ეგ არის სირთულის 25%. მონდობა, შრომისმოყვარეობა, რისკი – ამის სწავლა ალბათ არ შეიძლება, მაგრამ განვითარება აუცილებელია. ზოგს, ვინც მორცხვი იყო და ვერ ლაპარაკობდნენ სემინარზე, ლექტორები ხელს უწყობდნენ და სითამამისკენ მოუწოდებდნენ.“

ახალგაზრდები ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ტოლერანტობასა და საზოგადოებასთან ინტეგრირებულობას. „დასაქმებისათვის, აუცილებელია, რომ საზოგადოებაში იყო კარგად ინტეგრირებული. არ გვულისხმობს მხოლოდ ქართულ საზოგადოებას, სომხურ, აზერბაიჯანულ საზოგადოებასაც გვულისხმობ.“

ფოკუსჯგუფის მონაწილეები, საკუთარ არაკონკურენტუ-

კვლევა

ნარიანობაზეც საუბრობენ, რაც მათ საუნივერსიტეტო ინიციატივებისა და აქტივობების მიღმა ტოვებდა.

„კონკურენტუნარიანი არ ვიყავი, უნივერსიტეტის შიდა პროფესიულ კონკურსებში პირველ ეტაპზე გავდიოდი, მერე კი უკან ვრჩებოდი. ვკითხულობდი, მაგრამ არ მიხსნიდნენ, რა იყო ამის მიზეზი. ჩვენი მენეჯმენტის კათედრის გამგეს რამდენჯერმე ვკითხე, რატომ ვერ გავდიოდი შემდეგ ეტაპზე. კი ამიხსნა, მაგრამ მაინც ვერ გავიგე (ბიზნესის ადმინისტრაცია).“

გამოკითხვის შედეგად, დასაქმების ბაზარზე არსებული ტენდენციების აღქმა ეთნიკური უმცირესობების კურსდამთავრებულთათვის, დაახლოებით, ერთგვაროვანია. ისინი კარგად აცნობიერებენ იმ სირთულეებს, რომელიც ქვეყანაში სამუშაო ადგილების ზოგად სიმცირესთანაა დაკავშირებული და თვლიან, რომ უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა, რომელიც მათ საშეღავათო პოლიტიკის შედეგად გაუჩნდათ, და შემდგომი 5 წელი, რომელიც უნივერსიტეტში გაატარეს, სრულიად საკმარისი შედეგადაა იმისათვის, რომ სამუშაო ბაზარზე, საერთო კონკურენტის პირობებში, სპეციალური პირობების გარეშე შევიდნენ. სტაჟირების პროგრამები, რომლებიც საუნივერსიტეტო განათლების პარალელურადაა და შეუძლიათ კონკურსის ფარგლებში გაიარონ, მათი აზრით, რეალურად იძლევა იმის საშუალებას, აუცილებელი გამოცდილება შეიძინონ და სამსახური იშოვონ.

აღნიშნავენ იმასაც, რომ სანაცნობო წრე ეთნიკური უმცირესობების თემებში უფრო მეტ გავლენას ახდენს დასაქმებაზე, ვიდრე ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში.

გამოიკვეთა რიგი სპეციფიკური ფაქტორებისა, მათ შორის საყურადღებოა, საკუთარ თემში მიმდებარეობისა და კავშირებული პრობლემები. ერთ-ერთი კურსდამთავრებულის ინფორმაციით, მან ვერ შეძლო ადგილობრივი მთავრობისა და თვითმმართველობის ვერც ერთ უწყებაში სამსახურის დაწყება, იმისდა მიუხედავად, რომ ტესტირებაში ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა და გასაუბრებელიც წარმატებით გაიარა. ამასთანავე, ფოკუსჯგუფის მონაწილე საუბრობს ნეპოტიზტურ კავშირებსა და კორუფციულ სქემაზე, რომელიც სამუშაო ადგილზე კადრის აყვანას განაპირობებს. ხაზს უსვამს, რომ დისკრიმინაცია, მის შემთხვევაში, ეთნიკურ ნიშანს არ ატარებდა. რეალურად, მისი კვალიფიკაცია და უნარები ადგილობრივ თვითმმართველობასა და რეგიონულ უწყებებში დანახეს და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიულ საკითხებზე კონსულტაციები ან ქართული ენის ფლობაა საჭირო, არაფორმალურად, სწორედ მას მიმართავენ კონსულტაციისათვის ან სხვადასხვა პირებს მასთან აგზავნიან.

ფოკუსჯგუფის მონაწილეები იმასაც ფიქრობენ, რომ მათ ერთგვარად ნახვი გატეხეს საკუთარ თემში, როდესაც უმაღლესი განათლებისათვის ქართული უნივერსიტეტები აირჩიეს და თვლიან, რომ მიუხედავად ზოგადი პოზიტიური ცვლილებებისა, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართულ უნივერსიტეტებში სწავლის მზარდ სურვილში გამოიხატება, დღემდე არსებობს ერთგვარი გაუცხოების მომენტი მათ მიმართ.

პირობულ არჩევანზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ მიუხედავად სირთულეებისა, რომლებიც დასაქმების ბაზარზე ხედვებით, ქართული უნივერსიტეტის დამთავრება სომხეთსა და აზერბაიჯანში დამთავრების ნაცვლად, სწორი არჩევანი იყო.

„ჩემი კლასელების უმრავლესობა სომხეთში წავიდა და იქ მიიღო უმაღლესი განათლება. სამსახურებზეც იშორეს და იქვე დარჩნენ. ეს მათი არჩევანი იყო. მე კი, საქართველოში გადავწყვიტე განათლების მიღება და ეს ჩემი არჩევანია. თავდაპირველად, თბილისში რომ მოვდიოდი, არც კი ვიცოდი, სად მოვდიოდი. თანასოფლელები გაკვირვებულნი მეკითხებოდნენ, ქართულ უნივერსიტეტში რა გინდაო. ახლა, როდესაც სომხეთიდან ჩემი თანაკლასელი ჩამოვა და აქ დასაქმება მოუხდება, მე მაქვს უპირატესობა, იმიტომ რომ სახელმწიფო ენას ვფლობ და ვიცნობ აქაურ სპეციფიკას. მან რომ ვერ იპოვოს სამსახური, არ უნდა გაუკვირდეს. მე აუცილებლად ვიპოვი.“

ნათია გორგაძე: „კვლევის შედეგების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების სტუდენტთა დასაქმების სურათი არსებითად არ განსხვავდება ქართველი სტუდენტების დასაქმებისგან, რაც ნამდვილად პოზიტიურად უნდა შეფასდეს. პოზიტიურია, როდესაც ნაკლებად იკვეთება ქსენოფობიური თუ ნაციონალისტური ნიშნები. თუმცა, კვლევის სამიზნე ჯგუფის მცირე ნაწილი მაინც საუბრობს დამსაქმებლის მხრიდან კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის მიმართ მეტ კეთილგანწყობაზე. საგულისხმოა სტუდენტების განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მათთვის საშეღავათო პოლიტიკის გამოყე-



ნება დასაქმების ბაზარზე არ არის საჭირო, რადგან მიაჩნიათ, რომ უნივერსიტეტში საკმარისი დროა იმისთვის, რომ სრულყოფილად მოახდინონ ინტეგრაცია საზოგადოებაში. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ასე ფიქრობს. ეს ნიშნავს, რომ ამ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური ფონის მკაფიო და რეალისტური ხედვა აქვთ და დასაქმების კუთხით არსებულ ბარიერებს ეთნიკურ ნიშანს არ უკავშირებენ. თუმცა, ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასთან დაკავშირებით ერთიანი და კარგად კოორდინირებული იყო, რაც საშუალებას მისცემს მაღალკვალიფიციურ და კონკურენტუნარიან კურსდამთავრებულებს, დასაქმდნენ საჯარო სამსახურში საკუთარ რეგიონებში და ამგვარად გაზარდონ როგორც რეგიონში არსებული ზოგადი პროფესიული კვალიფიკაცია, ასევე დაამკვიდრონ ინტერკულტურულ პრინციპებზე დამკვიდრებული ორგანიზაციული კულტურა რეგიონებში.

ახალგაზრდების 46 პროცენტი საჯარო სექტორს მიიჩნევს დასაქმების პერსპექტივად. ეს არ არის კარგი მაჩვენებელი, იმის გათვალისწინებითაც, რომ ქვეყანაში დასაქმების ბაზრის წილის 15 პროცენტი სწორედ საჯარო სექტორზე მოდის. რეალურად, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანები კერძო სექტორს, ბიზნესს, მცირემწარმოებასა და თვითდასაქმებაში ვერ ხედავენ გრძელვადიან პერსპექტივას.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საუკეთესო კურსდამთავრებულები, რომლებიც კონკურსის ფარგლებში დასაქმდნენ, ამბობენ, რომ უნივერსიტეტმა ყველაზე საუკეთესო რამ ასწავლა და ეს ბრძოლის უნარია. 5 წელიწადში მათი დამოკიდებულება სრულიად შეიცვალა, ისინი თავს ბევრად კონკურენტუნარიანად მიიჩნევენ. მაგრამ საუბრობენ იმაზეც, რომ თავიანთ რეგიონებში დასაქმების ბარიერს აწყდებიან, რომელიც ქართველი ახალგაზრდებისთვის ნაკლებად არსებობს. 4+1 პროგრამის კურსდამთავრებულებმა იციან ქართული ენა, ბევრად უკეთ აქვთ განვითარებული დასაქმებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები (რადგან ისწავლეს უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში და, ამავდროულად, შეძლეს სოციალიზაცია და ინტეგრაცია), მიიღეს ბევრად უკეთესი საუნივერსიტეტო განათლება. სტუდენტების ნაწილმა, სწავლის პერიოდში, გაიარა სტაჟირება, კონკურსები, ტესტირებაში მაღალ ქულებს იღებენ, გასაუბრებელ ბრწყინვალეები არიან, მაგრამ მაინც ვერ შოულობენ სამსახურს. ამ შემთხვევაში, ახალგაზრდები საუბრობენ, ერთი მხრივ, ნეპოტიზმზე და მეორე მხრივ, იმაზე, რომ თავისთავად თემში ასეთი ახალგაზრდების მიმდებარება დაბალია, რასაც ერთადერთი ახსნა აქვს – იმ სოციუმს არ სურს კვალიფიციური, საზოგადოებაში ინტეგრირებული კადრების მიღება, რადგან მიაჩნიათ, რომ ამით დაირღვევის „რალა“ და რასაც ვერ კიდევ ექივდებიან და თუ დაირღვა, მაშინ თემში, ზოგადად, კადრების ცოდნის დონის ამაღლება გახდება საჭირო. შესაძლოა, ეშინიათ, საშუალო ადგილები არ დაკარგონ ან „თავისიანები“ უნდათ, რომ მიიღონ სამსახური და ეს ახალგაზრდები „თავისიანებად“ აღარ მოიაზრებენ.

ბუნებრივია, ამ მასშტაბის კვლევით და ფოკუსჯგუფით მიზეზებისა და შედეგების განსაზღვრა რთულია. ყველაფერი, რაზეც ახლა ვსაუბრობთ, ვარაუდები და იმის დანახვის საჭიროებაა, რომ ბევრად უფრო სიღრმისეული კვლევის გან-

ხორციელებაა საჭირო. ეს უფრო მინიშნებებია, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს უფრო მასშტაბურ კვლევებს, ჩატარებული კვლევის შედეგები კი, უფრო მეტად, ამ დროისთვის არსებულ ტენდენციებს გვიჩვენებს.

რეკომენდაციების სახით, უნდა აღვნიშნოთ, აუცილებელია, რომ კავშირები საშეღავათო პოლიტიკას (რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს სტუდენტების მიმართ) და დასაქმების ბაზარზე არსებულ პოლიტიკას შორის უფრო მკაფიოდ იქნეს გაცნობიერებული და დანახული. შესაბამისად, უფრო კარგად გამოიკვეთოს უნივერსიტეტების როლი. თუკი სახელმწიფო უნივერსიტეტები 4+1 პროგრამას ახორციელებენ, ქართული ენის მოსამზადებელი ერთწლიანი პროგრამის გარდა, სხვა ხელშემწყობი მექანიზმებიც უფრო ეფექტურად უნდა აამოქმედონ. სამწუხაროდ, ვერც ერთი ცენტრის დებულებაში (გარდა სამედიცინო უნივერსიტეტის დებულებისა), ვერ ამოვიკითხეთ მრავალფეროვნების ხელშემწყობისაკენ მიმართული მიზანი და ხედვა, რაც, ერთი მხრივ, საშეღავათო პოლიტიკით მოსარგებლების საჭიროებებზე იქნებოდა ორიენტირებული, ხოლო მეორე მხრივ – დასაქმების ბაზრის მულტიკულტურულ მგრძობელობაზე. 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ გლობალური, მრავალფეროვანი საზოგადოების ნაწილი ვართ. ამ მიმართულების, გლობალური და მასშტაბური ხედვების მინიშნებები ვერც ერთი ცენტრის თუ დეპარტამენტის დებულებაში ვერ ამოვიკითხეთ, ამასთან, ვერც ერთმა ცენტრმა ვერ გამოავლინა ზავა ინფორმაცია იმის შესახებ, ახორციელებს თუ არა ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების საჭიროებებზე ორიენტირებულ პროგრამებს. ფაქტია, ამ ახალგაზრდებს, მეტი ხელშეწყობა საჭიროდებათ და საშეღავათო პოლიტიკის განხორციელებით, ჩვენ ამას ვაღიარებთ.

თუ კვლევის შედეგებსა და მიგნებებს ზოგადად არსებულ კონტექსტში გავანალიზებთ, არსებული პრობლემა დასაქმების ბაზრის მოთხოვნებსა და პოლიტიკურ ხედვას შორის არათავსებლობას უკავშირდება. მაშინ როდესაც დამსაქმებლის 47% პროცენტი ბაკალავრის დიპლომს მოითხოვს, ხოლო 5%-ზე მეტი სამაგისტროსა და უფრო მაღალი უმაღლესი განათლების საფეხურს ასახელებს დასაქმების წინაპირობად, უმაღლესი განათლება და მისი ხელმისაწვდომობა არ სახელდება ქვეყნის განათლების პოლიტიკის პრიორიტეტად. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება, რომელსაც დასაქმების ბაზრის მოთხოვნების სრული ფლობა და ხედვა ექნება და რომელიც მაღალი, კონკურენტუნარიანი კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას ნაახალისებს (ერთი მხრივ, სახელმწიფოს შიდა პროფესიული და მეორე მხრივ, გლობალურად კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად). კვლევის მიგნებების საფუძველზე, შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ საუნივერსიტეტო განათლების საშუალებით, დასაქმების ბაზარს ვერ ვთავაზობთ იმ მომზადებისა და კვალიფიკაციის კადრებს, როგორც არსებობს მოთხოვნა და რომელიც განაპირობებს კერძო თუ საჯარო სექტორის განვითარებას.

რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდების კარიერული წინსვლის და დასაქმების თემატიკას, მისი განვრცობა ძალიან მრავალი განსხვავებული ნაწინადადნაა შესაძლებელი, თუმცა, მთავარი და ამოსავალი წერტილი მაინც ქვეყანაში განხორციელებული კარგად კოორდინირებული პოლიტიკაა.“



საუბრაბი ლიტერატურაზე

ქართული მწერლობის „ქარნალებული“

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისა“ და ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთის“ მიხედვით

ლიტერატურა ადამიანთმცოდნეობაა, რომელიც ცხოვრებას უიოლებს თითოეულ ჩვენგანს და გონებრივი შესაძლებლობების რეზერვუარს ავსებს, აფართოებს თვალსაზრისს და ცხოვრებას საინტერესო ელფერს სძენს. მასში პირდაპირ, ხან დამოფრული სახით წარმოდგენილია ამა თუ იმ ერის მორალური ფასეულობები, მისწრაფებები, დადებითი და უარყოფითი თვისებები. ერთი სიტყვით, ლიტერატურა ერის მორალურ-ეთიკური კონსტიტუციის შემქმნელია. მოსწავლემ ქართული ენა და ლიტერატურა მხოლოდ საგნის ჩაბარების მიზნით არ უნდა ისწავლოს. ნებისმიერი პროფესიის არჩევისას საკუთარი აზრის გამოთქმა უნდა შეძლოს ადამიანმა და დასკვნის წერილობით გადმოცემის უნარი უნდა ჰქონდეს. ეს პრობლემა თვალსაჩინოა განსაკუთრებით ქართულის გაკვეთილებზე. ხშირად ნასწავლი ტექსტის ინტერპრეტირება, გამართული ქართულით გადმოცემა უჭირთ ბავშვებს, ხოლო როცა საქმე წერით დავალებზე მიდგება, პრობლემა უფრო თვალსაჩინო ხდება. უცხო ტექსტის ანალიზისას ხშირია მისი არაადეკვატური გააზრება, რაც ფაქტების არასწორად გადმოცემაში გამოიხატება; ერთი პერსონაჟის ნიშან-თვისებებს ხშირად მეორეს მიაწერენ, უჭირთ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გარჩევა და მათ მნიშვნელობასა და მხატვრულ ღირებულებას. უკანონო და ა.შ. რაც შეეხება პარალელურ გაკვეთებს თუ ზოგადი განათლების გამოვლენას, ის აქილევსის ქუსლივით ვლინდება. მხატვრული ლიტერატურის წაკითხვა დამოუკიდებლად ეზარებათ ან „კომპიუტერიზაციაში“ ისე დაიპყრო მათი სურვილები, რომ, სამწუხაროდ, ზედაპირული გახდნენ ღრმა ცოდნის დაუფლების საკითხში. ეს წერილი სწორედ ამ პრობლემის გამოსწორების მოკრძალებული მცდელობაა.

მინდა ვისაუბრო ორ ქალზე, რომელთაც, პირობითად, „ქარნალებული“ ვუნოდე. ქართულ მხატვრულ სამყაროში ეს ქალები ტკივილს, შებრალებას, სინანულს, ხელის ჩაკიდებისა და შველის უდიდეს სურვილს აღძრავენ ჩვენში. მარგო (მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“) და ელი (ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან „შელოცვა რადიოთი“) იმ ეპოქის ტკივილია, რომელიც დაღვივთ დაეხევა ჩვენს ერს. ორივე ქალი (ელი და მარგო) სულის აბსოლუტურ სიცარიელეს განიცდის; ორივე თავადის ქალია, ტრადიციულად აღზრდილი და ერთდროითი შვილი თავიანთი მშობლებისა. ორივე ქალში ელვისებურად ხდება სულიერი თუ სოციალური მეტამორფოზა – თავადის ქალობიდან დაცემამდე. მათ მიერ განვლილი გზა მეტაფორულად ამ კლასის წარმომადგენელთა მხრიდან სამშობლოს ვეროვნის ტრაგიზმს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. მათი ნაზი არსება აზვითობის ტალღის ქვეშ ექცევა და მორევში ავადებს, შთანთქმულ, ბნელ მორევში, საიდანაც აღარ ხდება მათი დახსნა. ერთი ფიზიკურად ნადგურდება, მეორე ფიზიკურადაც და ხორციელდება: ელის გველის ნაკბენი უსწრაფებს სიცოცხლეს, მარგო ჯავახიშვილის ცხოველის მსხვერპლი ხდება.

ამ ეპოქას მიხედვით ჯავახიშვილი ასე ახასიათებს: „უთვალავი პორტფელი და ავტომობილი, ათჯერ მეტი მშვიდი და მათხოვარი, ელექტროსადგურები და უნიფორმა ხალხი, ამერიკანზიზი და ურემი – აი, ჩვენი ცხოვრების სურათი“ (ჯავახიშვილი 1925). ამ ეპოქის ქართველთათვის მამული ფესვის, წინაპრის აღმნიშვნელი სივრცე კი არაა, „მეწველი ფური“ იყო მხოლოდ. უპატრონოდ დარჩენილი ორივე ქალის ნაზი ფიზიკური სხეულის გადარჩენის მიზნით არის გადადგმული. არ-

ცერთ მათგანს არ ჰყავს გულწრფელი გულშემატიკვარი, ქომაგი და დამცველი. ორივე უცხო გადამთიელის ხელში ვარდება და ტრაგედიის მიზეზიც სწორედ ეს ხდება. ხორციელი კეთილდღეობის ძიებისა თუ ფიზიკური სხეულის გადარჩენის ინსტინქტი ლუპავს ორივე „ქართულ შევენებს“.

მიხეილ ჯავახიშვილი თავის უბის წიგნაკში „ჯაყოს ხიზნებზე“ წერდა: „ჯაყოს ხიზნებს“ 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი და ვგრძობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა. ხოლო სული იმ დროს სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყოს“ გმინვია ჩემი სულისა“. მართლაც, ამ ორი ტექსტიდან მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ეპოქის გმინვა ისმინება, ორივე ტექსტი ფასეულობათა აღრევის თვალსაჩინო ნიმუშია. „ასეთი ანალიზი ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სულიერი ავადმყოფობისა ჯერ არავის მოუცია ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში“ (გომართელი 1925).

ორივე ტექსტში მუქი, ბნელი ტონალობები ქარბობს. არცერთი დადებითი პერსონაჟი არ იკვეთება არცერთგან. სასიყვარულო სცენებში (ეპიზოდებში) არ იკითხება რომანტიკული, ამაღლებული განცდები, რაც ორივე ქალს ამქვეყნადვე ჯოჯოხეთურ გარემოში აცხოვრებს და პირდაპირი უფსკრულის წინ აყენებს. ზნეობრივი კატეგორიების რღვევა და არარაობად ტექვის მწვევ განცდა ლიტერატურულად გასდევს ორივე ტექსტს. ორივე ქალში მოშლილ-მორღვეულია ადამიანის მთლიანობა, სულიერი სიმტკიცე.

ელის მიერ განვლილი გზა დიდ ტრაექტორიას მოიცავს, მარგოს სამოდრო არეალი უფრო მცირეა, საქართველოს ფარგლებს არ სცდება, კერძოდ, ქალაქიდან სოფლამდეა. სოფელი, როგორც ძირი, ფესვი, მისი გადამრჩენელი კი არ აღმოჩნდა, არამედ გადაიყოლა, გააუპატიურა, სასიცოცხლო ძალები გამოაცალა და ჯავახიშვილს ცხოველს გადაჰკიდა; ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ამ ეპოქის შვილებს საშველი არსად ჰქონდათ, მათი ნავსაყუდელი ზღუდემქმორღვეული იყო. მარგო ისეთივე „ჯვარცმული ანგელოზია“, როგორც ელი გორდელიანი. უსიყვარულოდ, უქომაგოდ დარჩენილი ქალები უპატრონოდ დარჩენილ ეკლესიას ჰგვანან, სადაც ღვთის დიდების ნაცვლად (ქმრის პატივისცემის ნილ) ეშმაკებს მარულა და ფერხული გაუშვარებენ. ელი გორდელიანიმა ვერ იგუა ქმრის ინდიფერენტობა, გულგრილობა. ამიტომაც ამბობს ის სიმწრით: „მისთვის მე და ყოველი სხვა ქალი ერთია“ (ლორთქიფანიძე 2000:106). ანალოგიურ სულის ტკივილს განიცდის მარგო, რომელიც „ახალი ნამუსს, შელახულ პატივსა და გასრუხილ თავმოყვარობას ცხელის ცრემლებით ეკლავებოდა, მონამღვთვლივით ჰპოვებდა, სიმწრისაგან კლაკნებოდა“ (ჯავახიშვილი 1959: 284). „გამოაცალეთ დედაკაცს სიყვარული, ხელში შეგრჩებთ ცარიელი კაბა“ (ჯავახიშვილი 1926).

ელი გორდელიანი „საქართველოს გატაცებისა და გერმანიის თავყვანისცემის“ ნაყოფი იყო. მამისა და დედის წარმოშობაში მის მომავალ ცხოვრებაზეც აისახა. „თვლისში მუსიკის მასწავლებლად გამოწერილი გერმანელი ქალი“ მატყლად ელის მომავალს მიუხეხებდა ექაჩებოდა, მამის გენები კი საქართველოსკენ ეწეოდა, თუმცა საბრალო ქალი ფერფლად დაუბრუნდა საქართველოს. შვილს (გიორგის) თითქმის აღარც ახსოვს, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, დედის სხოვნა, მონატრება სიყვარულის ლაბირინთში აქვს დაკარგული. თუ ამ პატარა ბიჭუნას საქართველოს მფეთქავი გულის, გადარჩენილი „ეროვ-

ული სხეულის“ სიმბოლოდ მივიჩნევთ, მაშინ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში იმედის ნაპერწკალი ჩნდება. მწერალი გვაფრთხილებს, რომ ამ იმედის სხივს (მართალია, მიტოვებულსა და მიგდებულს, თუმცა მაინც არსებულს, ცოცხალს) მოვლავაფრთხილება, გაზრდა და სჭირდება, რათა მომავალში იბარტყოს და დედამამშობლოს სსოვნა შეინახოს ხელახალი აღორძინებისა და გადარჩენისთვის. მიხეილ ჯავახიშვილს 1930-31 წლის უბის წიგნაკში (უბის წიგნაკი – 1/3) ჩაუწერია: „თავადაზნაურობა მოკვდა, იქნებ სულის არისტოკრატია მაინც გადარჩეს“.

„ქალი (მეუღლე, საბედო) განასახოვნებს მინა-სამშობლოს, ხოლო ქორწინება და ოჯახი ერთგვარი ერთგულებაა ერის სულიერი-ინტელექტუალური ძალებისა და თვით მინა-სამშობლოს (მამულის) კავშირისა“ (წიქარიშვილი 2005:281). აკაკი ბაქრაძე მარგოს სახის ანალიზისას აღნიშნავს, რომ მარგო ალტერნატიული სახეა სიყვარულისა, სიცოცხლის ძალისა, სიკეთისა, რომელსაც მოვლა უნდა (ბაქრაძე 1984:163). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეიმურაზი და ელის ქმრები თავიანთი ცოლების (ქვეყნის) პატრონობას მოკლებულნი არიან დამრეტილი სულიერი ძალების უკმარისობის გამო. ამ ქალებს თავიანთი ენ. მეორე ნახევრები სხვებისთვის იმეტებენ, ვერ უვლიან, სხვას უთმობენ. ოჯახი, რომელიც კლდედავით მყარია უნდა ყოფილიყო, ქვიშის ნაწილაკებად დაიშალა; ანუ მათ ხელში ჩაეშალათ ილუზორული, მოჩვენებითი სიყვარული, ერთად ყოფნის, გამთლიანებისა და ბედნიერების განცდა.

ჯაყოს ველურ სამყაროში შთაინთქმება „ნაცარქეჩია“ ქმრის პატრონი მარგო. ჯაყო არამარტო ფიზიკურად უსწორდება მარგოს, მისი სულის კედლებზეც მძლავრად ურტყამს ველურ მუშტებს, ამცირებს, აკნინებს მის ადამიანურ ბუნებას. ელის მარგოზე არანაკლები სულის უზურპატორები ჰყავს. მას ვეროპულ-ამერიკული „წესებით“ უტყვენ სახელს, არაორდინალურად „აუპატიურებენ“. ამერიკა და ევროპა ვერ იყოფს ელის მშვენიერებას, სინამდვილეში კი არცერთს არ სჭირდება ის. თავიანთი პატივმოყვარეობისა თუ ინტერესის დამაკმაყოფილებელ ობიექტად იყენებენ ლამაზ ქალს და ტრაგიზმს სწორედ ეს ამძაფრებს.

ეს ორი ტექსტი ერთი და იმავე თემის ორი მხატვრული განშტოებაა. ორივეგან ნაჩვენებია ეპოქისაგან ქარნალებული ქალების მორალურ-ფიზიკური წგრევა. უპატრონოდ, უქართვლოდ დარჩენილი საქართველოს თავდადასავალია ორივე ტექსტის მთავარი დისკურსი.

მაია მანთაშაშვილი

ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

დამონებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე აკ., 1984: „მოუხმარებელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება“, ჟურნალი „მნათობი“, თბილისი, 1980, №4.
2. გომართელი ი., 1925: ჟურნალი „ახალი გზა“, 1925, №17.
3. ლორთქიფანიძე ნ., 2000: „შელოცვა რადიოთი“, წიგნში ქართველი მწერლები სკოლაში, თბილისი, 2000.
4. ნიქარიშვილი ლ., 2005: „ლელგარი“, თბილისი, 2005.
5. ჯავახიშვილი მ., 1925: „უბის წიგნაკი“, 1925, №3.
6. ჯავახიშვილი მ., 1926: „უბის წიგნაკი“, 1926, №5.
7. ჯავახიშვილი მ., 1930-1931: „უბის წიგნაკი“, 1930-1931 წწ., №1/3.
8. ჯავახიშვილი მ., 1959: „ჯაყოს ხიზნები“, თხზულებანი 6 ტომად, თბილისი, 1959.

საერთაშორისო შპჯიზი

საქართველოსთვის ფასდაუდებელი გამოცდილება

საქართველოს პროფესიული კოლეჯების სტუდენტებმა მსოფლიო პროფესიული უნარების შეჯიბრში მიიღეს მონაწილეობა. საერთაშორისო კონკურსში 77 ქვეყნის 1300-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდები ერთ-მანეთს, 4 დღის განმავლობაში, საერთო ჯამში, 51 სხვადასხვა პროფესიაში ეჯიბრებოდნენ. ქართველებმა მხოლოდ 7 მიმართულებაში მიიღეს მონაწილეობა, კარგად ნაცნობ პროფესიებს, ნელს, პირველად, კიდევ ერთი – საინფორმაციო ქსელების გაყვანილობა-მონყობა დაემატა. საქართველო ამ უნარში დავით დავითაშვილმა წარადგინა, რომელმაც საემიროებში გამგზავრებამდე, გადაამზადება იაბონიში გაიარა. „საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ამ სფეროთი დაინტერესებულ ახალგაზრდებს დიდი სიამოვნებით გაუზიარებ გამოცდილებას და ბევრ რამეს ვასწავლი კიდევ.“ – ამბობს დავით დავითაშვილი.

საინფორმაციო ქსელების გაყვანილობა-მონყობის გარდა, ქართველი სტუდენტები ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების პროფესიული კოლეჯების სტუდენტებს გრაფიკულ დიზაინში, სარესტორნო სერვისში, მზარეულობასა და საპარაკმახერო საქმეში, ვებ-დიზაინსა და საკონდიტრო საქმეში ეჯიბრებოდნენ. აბუ-დაბიში გამართული პროფესიული უნარების (Worldskills) 44-ე საერთაშორისო შეჯიბრი გამარჯვებულთა დაჯილდოებით დასრულდა – შვიდი ქართველი მონაწილიდან ერთ-ერთს, ქობულეთის პროფესიული კოლეჯის „ახალი ტალღა“ სტუდენტს, ზურაბ შავიშვილს, სარესტორნო სერვისის შეჯიბრში საუკეთესო წარმომადგენლის ჯილდო მიენიჭა.

„ვეცადე ყველანაირად, რაც შემიძლია, გავაკეთე და მივაღწიე იმას, რომ საქართველოს გუნდიდან საუკეთესო მონაწილე გავხდი და მივიღე საპატიო ნოდება.“ – განაცხადა ზურაბ შავიშვილმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი მასშტაბის შეჯიბრზე ქართული გუნდის მონაწილეობა საქართველოსთვის ფასდაუდებელი გამოცდილებაა და ეს გამოცდილება, ჩვენს ქვეყანაში, აუცილებლად დაინერგება.

მისივე თქმით, შეჯიბრი ასევე ძალიან საინტერესო იყო ქართველი ექსპერტებისთვისა და დამკვირვებლებისთვის, რომლებიც ქართველ მონაწილეებთან ერთად, იმ უახლეს ტექნოლოგიებს გაეცნენ, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა პროფესიების მიმართულებით იყენებენ.

„შეჯიბრი იმდენად რთული იყო, ბევრმა მონაწილემ სტრესს ვერ გაუძლო და კონკურსს მიმდინარეობის პროცესშივე გამოეთიშა. ჩვენმა ქვეყანამ კი, მიუხედავად მცირე წარმომადგენლობითი გუნდისა, ძალიან ღირსეულად შევასრულეთ ყველა დავალება, თითქმის იმ საერთაშორისო სტანდარტებს მივუახლოვდით, რომელიც ამ პლატფორმის მეშვეობით იწერება. ეს კი, რა თქმა უნდა, სამომავლოდ უფრო მეტი წარმატების საწინდარი გახდება – აცხადებს ქეთევან ნატრიაშვილი, – „Worldskills – უნარების მსოფლიო შეჯიბრი ის პლატფორმაა, სადაც თავს იყრის სპეციალისტების გამოცდილება და ცოდნა, საჯარო სექტორი და კერძო სექტორი, მისი მოთხოვნებით. ამ სამი მნიშვნელოვანი ფაქტორის გაერთიანება ხელს უწყობს მოქალაქეების უნარების რეალურად განვითარებას. შესაძლებლობა გვეძლევა, რეალურად გავეცნოთ, საერთაშორისო სტანდარტებით როგორ კეთდება პროგრამები კონკრეტული პროფესიების მიმართულებით, რა სიახლეებია, როგორი ტექნოლოგიები იწერება. შევძლებთ, ეს ცოდნა, ჩვენი ექსპერტების მეშვეობით, საქართველოში წამოვიღოთ.“

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს, თამარ სანიკიძეს მიაჩნია, რომ ამ საერთაშორისო ფორუმზე იწერება ის ახალი უნარები, რომელიც ახალი პროფესიების



განვითარებისთვისაა საჭირო. „ჩვენ წელსაც მოგვეცა შესაძლებლობა, დავაკვირდეთ ასეთ ახალ პროფესიებს და შესაბამის უნარებს. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანია 3D სათამაშო პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული უნარების განვითარება. ეს სიახლე – სწავლების მეთოდოლოგია – შეგვიძლია საქართველოში დავწეროთ. საინტერესო იყო ტრანსპორტირებასთან, ლოგისტიკასთან დაკავშირებული ერთ-ერთი სტენდი. თითქოს ნაცნობი პროფესიაა, თუმცა მისი სწავლების მეთოდოლოგია, ახალი ტექნოლოგიები, რომლის გამოყენებაც ამ პროფესიების განვითარება უნდა მოხდეს, ძალიან ახლებური, თანამედროვე იყო და სწორედ ამით საინტერესოა.“

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, უდაბნოში სპეციალურად მოწყობილ ლოკაციაში, თავმოყრილმა ახალგაზრდებმა უდიდესი გამოცდილება მიიღეს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ პროფესიული უნარების შეჯიბრში მონაწილეები ცენტრთან ითანამშრომლებენ, მათი მოსაზრებები და გამოცდილება, ახალი პროფესიებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით, გამოყენებული იქნება უშუალოდ სტანდარტებისა და პროგრამების შემუშავების დროს.

მსოფლიო პროფესიული უნარების შეჯიბრი ორ წელიწადში ერთხელ იმართება, საქართველო 2012 წლიდან ჩაერთო და წელს უკვე მესამედ მონაწილეობდა. ღონისძიებას, ყოველწლიურად, ასიათასობით დამთვალიერებელი ჰყავს, მათ შორის მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც აკვირდებიან მონაწილეებს და ბევრ მათგანს თანამშრომლობასაც სთავაზობენ.



გამოსვლითაა

როგორ ვითარდებით უკეთესად ქართული და ინგლისური ენების გზასაყარზე

თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ ენაში მნიშვნელოვანი ძვრები ხდება, ირლევია ქართული ენის სტრუქტურა, მისი მოქნილი სინტაქსი, ენაში შემოჭრილი უცხოური სიტყვათა ნაკადი აკინებებს, უსუსურს ხდის ქართულ ენას, რაც, უპირატესად, ინგლისურ ენას და მის ყოველისმომცველ გავლენას უკავშირდება. ენის დიდ და მრავალფეროვან მექანიზმში ყოველთვის არის ე.წ. წვრილმანი საკითხები, რომელთა მოგვარებაც ისევე საჭიროა, როგორც არსებითი ხასიათის პრობლემებისა. მოსწავლეებს, და არა მარტო მოსწავლეებს, უჭირთ აზრის ენობრივად, ლექსიკურად ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, ადეკვატური სტილის შერჩევა, სტილური ერთგვაროვნების დაცვა. მოსწავლეს უნდა შეეძლოს მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებების გამოყენება, რაც თავიდან ააცილებს ხშირ გამოვლილებებს, ტავტოლოგიებს, უხეშ კალკებს, აუცილებელია მეტი ყურადღება დაეთმოს სიტყვის მნიშვნელობაზე მუშაობას, კერძოდ, ესა თუ ის სიტყვა რა ჯგუფის სიტყვებთან ქმნის მართებულ შესიტყვებებს და რასთან – უმართებულოს. მოსწავლე უნდა დაუფიქრდეს ყოველი სიტყვის სემანტიკას არა მხოლოდ ცალკე, არამედ კონტექსტში, ხოლო მართებული შესიტყვების ძიების პროცესი თანდათან და ადეკვატად მიიყვანს მას ლექსიკონებთან.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული ენის ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი, რაც ინგლისურ ენასთან მისმა მჭიდრო კონტაქტმა მოიტანა. ეს კონტაქტი კი მართლაც, ყოველისმომცველია. ინტერნეტი და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ყველა ეს სახელე ახალ ტერმინოლოგიასთან, ახალი ცნებების აღმოცენებასთან არის დაკავშირებული, რაც ბუნებრივად მოაყვამს ქართულ ენას სწორედ ინგლისური ენის მეშვეობით. როგორც თანამედროვე ქართული ენის ანალიზი გვიჩვენებს, ქართულ ენაში მრავალადაა სპარსული, თურქული, არაბული, რუსული თუ სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ინგლისური ძირის სიტყვებსაც ფართოდ უნდა გავუფიქროთ ქართული ენის ლექსიკის კარი და თამამად დაეუფოთ ენაში? როდის დგება ენაში უცხო სიტყვის შემოტანის საჭიროება? უცხო სიტყვების ენაში შემოტანის საკითხი დგება მაშინ, როდესაც ენობრივი კოლექტივი ეცნობა ახალ რეალობას ან იქმნება ახალი ცოდნა, რასაც მოსდევს ახალი ცნებებისა და შესაბამისად, ახალი სიტყვების წარმოქმნა, მაგალითად, შეიქმნა ინტერნეტი და გაჩნდა სიტყვა – Internet, შეიქმნა კომპიუტერი და გაჩნდა სიტყვა – computer, უფრო ადრე გაჩნდა ტელევიზორი, ტელეფონი და ასე შემდეგ. ქართული ენა საკმაოდ ღიაა ამ თვალსაზრისით, იგი იღებს უცხო სიტყვებს, თუმცა, ქართული ენის რესურსებით ახალი სიტყვების შექმნის არაერთი წარმატებული მაგალითი არსებობს. ამდენად, უცხო სიტყვის ენაში შემოტანის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც ენობრივი კოლექტივი ეცნობა ახალ რეალობას ან მაშინ, როდესაც იქმნება ახალი ცოდნა, თუმცა, როგორც ვნახეთ, ამ შემთხვევაშიც ენას აქვს არჩევანი: ამ ახალი ცნების აღმნიშვნელი უცხო სიტყვის შემოტანა ენაში ან მშობლიური ენის რესურსებით ახალი სიტყვის, ნეოლოგიზმის შეთხზვა. სჭირდება თუ არა ქართულ ენას ის ინგლისურენოვანი ბარბარიზმები, რომელთაც შედარებით მოკრძალებულად შემოაბიჯეს ენაში რამდენიმე წლის წინ, მაგრამ დღეს უკვე ზეგად იქცნენ და თავის გზაზე ნალექით ემუქრებიან ასობით ქართულ სიტყვას.

მოსწავლეებს ჩაუფიქროთ ხშირად გამოსაყენებელ სიტყვებს, რომლებიც „ინტერნეტმა გააჩინა“.

- ✓ to update – პირდ. თარგმანი – დააფიქრებთ – სწორი თარგმ. – განახლება
- ✓ to boost – დაბუსტება, რეკლამის გაკეთება – პოპულარობის გაზრდა
- ✓ to click – დაკლიკვა – დანკაპუნება
- ✓ to like – დალაიკება – მოწონება
- ✓ to tag – დათაგვა – მონიშვნა
- ✓ to forward – დაფორვარდება – გაგზავნა
- ✓ to cancel – დაქენსელება – გაუქმება
- ✓ deadline – დედლაინი – უკანასკნელი / ბოლო ვადა

- ✓ destination – დესტინაცია – დანიშნულების ადგილი
- ✓ drive – დრაივი – მართვა
- ✓ emergency – ემერჯენსი – სასწრაფო დახმარება, სასწრაფო დახმარების მანქანა
- ✓ action plan – ექშენ ფლენი – სამოქმედო გეგმა
- ✓ collaboration – კოლაბორაცია – თანამშრომლობა, ერთობლივი მუშაობა
- ✓ scroll – დასქროლვა – გვერდიდან გვერდზე გადასვლა

ამ მაგალითებისათვის თვალის გადავლება კი ნათელს ხდის, რომ ყველა ინგლისური ძირის სიტყვას აქვს ბუნებრივი ქართული შესატყვისი, რაც შემთხვევაში, რამდენიმე შესატყვისიც. ამდენად, არ არსებობს მათი ქართულ ენაში შემოტანის რამდენიმე საჭიროება.

ამ მიზნით, ინგლისური ენისა და ქართული ენის მასწავლებლები ხშირად ვატარებთ ერთობლივ გაკვეთილებს, რათა სიტყვათა მყარი შეთანხმებები თავიდანვე ერთად ვასწავლოთ, რადგან, იაკობ გოგებაშვილის თქმისა არ იყოს: „ქართული ენის სრულყოფილი ცოდნის გარეშე უცხო სიტყვა ვერასდროს ვერ ჩაატანს ღრმად კაცის ბუნებაში“. გარდა ამისა, უცხო ენის სწავლების პროცესიდან მშობლიური ენის განდევნა, ერთი მხრივ, ხელს უშლის უცხო ენის სრულფასოვან შესწავლას, მეორე მხრივ კი, აზარალებს მშობლიურ ენას.

თავდაპირველად ვანვლით ინფორმაციას, რომ ხანდახან ძნელია მოიძებნოს ქართული და ინგლისური, თითქოსდა, ეკვივალენტური სიტყვები, რომლებიც ყველა კონტექსტში ჩაანაცვლებენ ერთმანეთს. მაგალითად:

- ✓ ქართული „ისარი“ ინგლისურად არის arrow; „საათის ისარი“ კი არის არა arrow, არამედ hand (of a clock);
- ✓ ქართული „კარი“ ინგლისურად არის door; კარი (ფეხბურთისა) – goal; ხოლო კარი (წიგნისა) – chapter;
- ✓ ქართული „სწორის“ ინგლისური შესატყვისია straight (მაგ. ქუჩა); სწორი პასუხის შემთხვევაში, „სწორის“ ინგლისური შესატყვისია correct (answer); სწორი სახის ნაკვეთების შემთხვევაში კი, ქართული „სწორის“ ინგლისური ეკვივალენტია regular (features).
- ✓ ინგლისური thick ქართულად ითარგმნება, როგორც „სქელი“; მაგრამ thick hair არის ხშირი, გრუზა თმა; thick forest – გაუფალი, დაბურული ტყე; thick darkness – თვალშეუვალი, უკუნი სიბნელე.
- ✓ ინგლისური strip ქართულად არის „ტანსაცმლის გახდა“, მაგრამ strip the room – ოთახის ავეჯისგან დაცლა; strip a bed – ლოგინიდან თეთრეულის აღება (გასარეცხად); strip the paint – საღებავის აფხეკა; strip of the rank – წოდების ჩამორთმევა და სხვ.

მოსწავლეები, და არა მარტო მოსწავლეები, ხშირად ინგლისურიდან ქართულად თარგმნიან სიტყვა სიტყვით. ამიტომ ვანვლით მარტივ სავარჯიშოებს და ვთხოვთ თარგმნონ ისე, რომ ქართული ენის სინტაქსური კონსტრუქცია არ დაირღვეს.

1. She is looking towards the sea. ის იყურება ზღვის მიმართულებით. ის ზღვისკენ იყურება. – სწორი ვარიანტი.
2. Our aim is to bring up healthy generation. ჩვენი მიზანია, მოეუტანოთ ახალ თაობას ჯანმრთელობა. ჩვენი მიზანია ჯანმრთელი თაობის აღზრდა. – სწორი ვარიანტი.
3. You can go in for any kind of sport you like შენ შეგიძლია შეხვიდე ნებისმიერ სპორტში, რომელიც შენ გინდა. რომელი სპორტიც გინდა, აირჩიე. – სწორი ვარიანტი.
4. I can't live the house on your hands არ შემიძლია სახლის თქვენს ხელში დატოვება. სახლს ვერ დატოვებ თქვენს იმედზე. – სწორი ვარიანტი.
5. He is as strong as a lion. ის ისეთი ძლიერია, როგორც ლომი.

ის ლომით ძლიერია. – სწორი ვარიანტი.

6. The flower pot at the window is lovely. ყვავილის ქოთანის ფანჯარასთან ძალიან ლამაზია.

ფანჯარასთან ლამაზი ყვავილის ქოთანია. – სწორი ვარიანტი.

მოსწავლეებს ვუხსნით, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანის დროს ჩნდება ენის სინტაქსური ნორმების დარღვევის შემთხვევები, მიუხედავად ამისა, სიტყვასიტყვითი თარგმანი შეიძლება გამოყენებული იყოს ტექსტის სწრაფ, „შავად“ თარგმანისათვის. მოსწავლეებს ასევე ვახსენებთ თანდებულებს, რომლებიც ქართულ ენაში გამოიყენება (თან, ზე, ში, შორის, ზემოთ, ქვეშ და ა.შ.). მათთან ერთად ვადგენთ მარტივ წინადადებებს, მაგალითად, ის ზის მაგიდასთან, ანი მიდის სახლში. პარალელურად, ვახსენებთ ინგლისური ენის წინდებულებს, რომლებიც მნიშვნელობას უცვლის სიტყვას, მაგალითად, To look, to get, to let...

- ✓ look up – ახედვა;
- ✓ look down – დახედვა;
- ✓ look thought – გადათვალერება;
- ✓ look for – ძებნა;
- ✓ look after – მოვლა;
- ✓ look around – მიმოხედვა.

მოსწავლეები იყენებენ წინდებულებს (at, on, in, with, by, above, below, under, between, etc.), აგებენ მათი გამოყენებით წინადადებებს და თარგმნიან, მასწავლებლები კი თვალყურს ვადევნებთ, რათა უზრუნველყოთ თარგმანის სტილისტური გამართულობა.

ხანდახან ვთამაშობთ „მთარგმნელობას“.

O my Luve is like a red, red rose
That's newly sprung in June;
O my Luve is like the melody
That's sweetly played in tune.
So fair art thou, my bonnie lass,
So deep in luve am I;
And I will luve thee still, my dear,
Till a' the seas gang dry.
Till a' the seas gang dry, my dear,
And the rocks melt wi' the sun;
I will love thee still, my dear,
While the sands o' life shall run.
And fare thee weel, my only luve!
And fare thee weel awhile!
And I will come again, my luve,
Though it were ten thousand mile.

ჩემი ტრფიალი არის ისეთი, ვით გაზაფხულზე ვარდის ნითლად აყვავილება, ჩემი ტრფიალი არის ისეთი, როგორც მუსიკა, ტკბილ მელოდიად როცა იღვრება, ო, რამდენადაც შენ ლამაზი ხარ, ჩემო მშვენიერებო, იმდენად უფრო ტრფიალით ვთვრები, და მეყვარები, ჩემო ძვირფასო, მანამდის, სანამ მზის მხურვალეობით დაშრება ზღვები, დიახ, იმ დრომდე, ვიდრე შეწყდება მშვენიერა ზღვისა, ვიდრე ამაყ კლდეს დაადნობენ სხივები მზისა, ვიდრე ამ ქვეყნად ყვავის სიცოცხლე, შენ მეყვარები, შენით ვიცოცხლებ. გზა მშვიდობისა, სასურველო, და მელოდე მე, შენს მღერალს, გინდ ათასი მილიც განვვლო, მაინც მოვალ, ჩემო ყველაჟ!

ასეთი ტიპის დავალებებით მოსწავლეები შეძლებენ ნასწავლი წინდებულები დაუკავშირონ სხვადასხვა სიტყვას და შეადგინონ ფრაზები, შემდეგ ამ ფრაზების დახმარებით შეადგინონ წინადადებები. ეს თითქოსდა მარტივი სავარჯიშოები კი საჭიროა იმისათვის, რომ მათ ამა თუ იმ ტექსტის თარგმნისას შეარჩიონ საჭირო ქართული სიტყვა.

ლია გომონია

ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მაია ალავიშვილი

ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. Importance of the Issue of Partial Equivalence for Bilingual Lexicography and Language Teaching, მარგალიტაძე, მელაძე, 2016;
2. <http://barbarisms.ge/article/>;
3. აფრიდონიძე შუქია – ჩვენი ენა ქართული; თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2002.



სახელმწიფო პროგრამა

აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების მიზნით

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვიციანიძის ინიციატივით, აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების მიზნით, ახალი სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდება. შესაბამისი მემორანდუმი, ორ სამთავრობო უწყებას შორის, აფხაზური ენის დღეს - 27 ოქტომბერს გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს ვიცე-პრემიერმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, ქეთევან ციხელაშვილმა.

მემორანდუმის ხელმოწერის ღონისძიება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა და მას აფხაზური ენის კვლევით დაინტერესებული სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეთანხმების თანახმად, მხარეები, ერთიანი ძალისხმევით იზრუნებენ აფხაზური ენის დაცვის, შენარჩუნების, განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის, ხელს შეუწყობენ შესაბამის საკითხებზე მომუშავე ქართველი და აფხაზი სპეციალისტების და პროფესიული ჯგუფების თანამშრომლობას და ორმხრივი ნდობის პროექტების განხორციელებას.

მინისტრებმა, თავიანთ გამოსვლებში, ხაზი გაუსვეს სახელმწიფოს მხრიდან აფხაზურ ენაზე ზრუნვის კონსტიტუციურ ვალდებულებას და პროექტის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მი-

ნისტრი: „აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვიციანიძის ინიციატივით, ახალი სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდება.“

დღეს აფხაზური ენის დღეს და დღეიდან, საფუძველი ეყრება ახალ სახელმწიფო პროგრამას, რომლის მიზანია სახელმწიფოს მხრიდან აფხაზური ენისა და კულტურის განვითარების მხარდაჭერა. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, დაფინანსებას და, მეორე მხრივ, ჩვენი ორი უწყების - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სახელმწიფო მინისტრის აპარატის - მჭიდრო თანამშრომლობას უმაღლეს დანერგულებებთან, სამეცნიერო კვლევით და საერთაშორისო ცენტრებთან იმისთვის, რომ აფხაზური ენა, როგორც სახელმწიფო ენა, დაიხვეწოს და შეძლოს თავისი ფუნქციის სრულფასოვნად შესრულება.

შესაბამისი მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის.“

ქეთევან ციხელაშვილი, სახელმწიფო მინისტრი: „პროგრამის ფარგლებში იხსნება სივრცე დაინტერესებული პირებისათვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, მკვლევარებისთვის, რომ განახორციელონ ინიციატივები, რომლებიც აფხაზური ენის კვლევას, დაცვასა და პოპულარიზაციას უკავშირდება, ასევე, პროგრამის ფარგლებში, იქმნება მეტი შესაძლებლობები აფხაზური ენის შესწავლისთვის, რაც დაგვეხმარება იმაში, რომ აფხაზური ენის სპეციალისტების ახალი თაობა მომზადდეს. მით უმეტეს, რომ ამის საჭიროება სულ უფრო



იზრდება. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი ამოცანა, ისევე როგორც ჩვენი საერთო ღირებულებები, კულტურული სიახლოვე, საერთო წარსული და, რაც მთავარია, უკეთესი მომავლის სურვილი ჩვენი შვილებისთვის აუცილებლად მოგვაცდენინებს ერთმანეთისკენ მიმავალ გზებს, შერიგების გზებს.“

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აფხაზური ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო მარიამ ჯაში, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

„ნელს, 27 ოქტომბერს ორი ისტორიული გადწყვეტილებით ვხვდებით. დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტზე წარადგინა ბატონი გიორგი ალიბეგაშვილი და, შესაბამისად, დეპარტამენტი დაიწყებს მუშაობას. ვულოცავ ბატონ გიორგის ამ უაღრესად საპასუხისმგებლო წარდგინებას და დარწმუნებული ვარ, რომ ერთმეცნიერებთან და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან ერთად იგი წარმატებით წარუძღვება სახელმწიფო ენების - ქართული და აფხაზური ენების დაცვისა და განვითარების საქმეს. პარლამენტის კომიტეტი კვლავაც მზად არის აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საქმიანობაში.“

დღესვე, აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, იწყება ახალი სახელმწიფო პროგრამა. იმედი მაქვს, აფხაზური ენის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება იქნება ის „მშვიდობის ხიდი“, რომელიც კვლავაც დააკავშირებს თბილისსა და სოხუმს“, - აღნიშნა მარიამ ჯაში.

მან ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს მხრიდან აფხაზურ ენაზე ზრუნვის ვალდებულებაზე და ახალი პროგრამის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე. მიმოიხილა „ჯანდაცვის დიპლომატიის“ კუთხით, ბოლო წლებში, გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები და აღნიშნა სოხუმის უნივერსიტეტის ახალი ინიციატივა - დაიწყო „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ მშენებლობა განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებით.

„დაბოლოს, მინდა გავიზიაროთ ჩემი მოსაზრება - აფხაზური ენის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საჯარო მოხელეებისთვის, შეიქმნას აფხაზური ენის შესასწავლი კურსები. თითოეული პოლიტიკოსისა თუ საჯარო მოხელის მხრიდან ეს იქნება შერიგების ფესტი, რომ გვექონდეს თუნდაც სამეგობრო, სასაუბრო დონეზე კომუნიკაციის შესაძლებლობა ჩვენს თანამემამულეებთან,“ - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარე.

პროექტის ფარგლებში, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს, მკვლევარებს, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარადგინონ აფხაზური ენის შესწავლასთან, დაცვასა და განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

მემორანდუმის ხელმოწერის ღონისძიება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა და მას აფხაზური ენის კვლევით დაინტერესებული სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



იურისტის კონსულტაცია

4 თვის განმავლობაში ვმუშაობდი გამოსაცდელი ვადით საჯარო სკოლაში. ამ პერიოდის შემდეგ დირექტორმა გამათავისუფლა ახსნა-განმარტების გარეშე. რამდენად მართებულია დირექტორის ქმედება?
შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, არაუმეტეს, 6 თვისა. დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, დადოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს მასთან გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დირექტორის ქმედება კანონიერია.

იმ შემთხვევაში თუ მსგავსი საკითხები განსხვავებულად არის მოწესრიგებული შრომის ხელშეკრულებით და საჯარო სკოლის შინაგანაწესით, რომელ მათგანს ენიჭება უპირატესობა?
საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, ბათილია შრომის შინაგანაწესის ის დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებას, ან კოლექტიურ ხელშეკრულებას, ან ამ კანონს.

აქვს თუ არა დირექტორს უფლება, სკოლაში წასრი-

გის დაცვის მიზნით, დააკისროს პედაგოგებს დამატებითი ვალდებულების სახით, საბაკავითილო საათების შემდგომ მორიგობა?
საჯარო სკოლაში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი არის მანდატურის სამსახური. თავის მხრივ, მასწავლებელი არ არის ვალდებული, საგაკვეთილო საათებისა და სხვა ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდეგ, იმყოფებოდეს სკოლის შენობაში, შესაბამისად დირექტორს არ აქვს უფლება, მოსთხოვოს მასწავლებელს წესრიგის დაცვის მიზნით განახორციელოს სკოლაში მორიგობა.

როგორ უნდა მოხდეს იმ მასწავლებლის შრომის ანაზღაურების დაანგარიშება, რომელსაც მიღებული აქვს, არანაკლებ 4-წლიანი, უმაღლესი განათლებით 2000 წლამდე?
მასწავლებელი, რომელსაც 2000 წლამდე მიღებული აქვს 4-წლიანი უმაღლესი განათლება, უთანაბრდება მაგისტრის ხარისხის მქონე პედაგოგს. შესაბამისად, შრომის ანაზღაურების გამოანგარიშებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მაგისტრის ხარისხის მქონე პირთათვის დადგენილი კოეფიციენტი. ამისათვის აუცილებელია, რომ დაწესებულება, რომელშიც გასცა განათლების დამატებითი დოკუმენტი (დიპლომი), იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

აქვს თუ არა უფლება საჯარო სკოლის დირექტორს, თავისი შინაგანაწესით, კვალდისკაციის გამოკლის ნაცვით, მასწავლებლებს შორის საბაკავითილო საათები არათანაბრად განაწილოს?
საჯარო სკოლაში მასწავლებელთა შორის საგაკვეთილო საათების განაწილება, აუცილებლად, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის კათედრაზე ხდება, რომელსაც ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და დირექტორის მონაწილეობით. შესაბამისად, დირექტორს არ აქვს უფლება, თავისი შეხედულებისამებრ, ერთპიროვნულად განაწილოს საგაკვეთილო საათები.

სარგებლოა თუ არა თანაბარი უფლებით, საბაკავითილო საათების განაწილებისას, მასწავლებელი და დირექტორი?
დირექტორი წარმოადგენს საჯარო სკოლაში დასაქმებულ ისეთ პირს, რომელსაც აქვს უფლება აილოს, არაუმეტეს, 10 საგაკვეთილო საათისა. შესაბამისად, ამ მხრივ დირექტორი შეზღუდულია რიგით მასწავლებელთან შედარებით. საგაკვეთილო საათების განაწილება კი, ხდება საგნობრივი ჯგუფის მიხედვით შექმნილ კათედრაზე, ურთიერთშეთანხმებით.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურიდიული დეპარტამენტი

სპორტი

ურვეულო ქართული ფეხბურთი

გიორგი ნემსაძის განვრთნილმა 17-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა მორიგი სიხარული მოუტანა ეროვნული ნაკრების ნაკრებებით განხილულ ქართველ ქომაგს – ნარმატებით დაძლია თბილისში გამართული ევროპის 2018 წლის ელიტრაუნდის შესარჩევი ტურნირი და ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. თანაც, ეს ვადამდე გააკეთა, როცა, პირველ ორ შეხვედრაში, ჯერ ლატვიელებს მოუგო 1:0, შემდეგ კი ჩერნოგორიაც დაამარცხა 2:0. მესამე შეხვედრა იტალიასთან უკვე ფორმალობად იყო ქცეული. მას მხოლოდ ის უნდა განესაზღვრა, ამ ორი გუნდიდან ვინ რომელი ადგილით გავიდოდა ელიტრაუნდში, რაც შედარებით უკეთეს ჯგუფში მოხვედრის ნინაპირობა იქნებოდა. ამის მიუხედავად, ჩვენებს თავი არც ამ შეხვედრაში დაუზოგავთ, მაგრამ კლასი მაინც კლასია და გაცილებით უფრო ძლიერ, „იუვენტუსის“, „რომას“, „ლაციოს“ და ამგვარ კლუბებში მოთამაშე აპენინელებმა მაინც აჯობეს ჩვენებს – 0:2. თუმცა, ამ ეტაპზე, პროგრამა მინიმუმ ელიტრაუნდში გასვლა იყო, რაც მიღწეულია, იქ წარმატებით თამაში კი მომავლის საქმეა. იმედაა, ჩვენს ნაკრებს იმ მოსამზადებელ ციკლშიც ისეთივე სათანადო პირობებს შეუქმნიან მოსამზადებლად, როგორც ახლა ჰქონდათ და შედეგიც მიიღეს.

ლატვია საკმაოდ კერკეტი კაკალი გამოდგა ჩვენებისთვის და ლამის მთელი შეხვედრა ნარმატებით გვიძალიანდებოდა. თუმცა, 21-ე წუთზე, დაცვაში, სერიოზული შეცდომა დაუშვეს, როცა მთელი ცენტრი „ჩააგდეს“, ოლონდ მანამდე უნდა აღინიშნოს ცოტენ კაპანაძის კარგი თამაში, მარცხენა ფლანგზე ბოლომდე იბრძოლა და ამით დღევანდელი ქართული ფეხბურთისთვის ცოტა უჩვეულო თვისებაც გამოავლინა. მან მცველთან ორთაბრძოლაში ბოლომდე მისდია ბურთს და, კუთხურზე გადაშვების ნაცვლად, საჯაროობაში ჩაანოდა. როგორც ვითხარით, იქ ლატვიელებმა მთელი ზონა მოაშიშველეს. სამაგიეროდ, საჭირო დროს საჭირო მომენტში აღმოჩნდა, როგორც მოგვიანებით სატურნირო მიმდინარეობამ დააზუსტა, ჩვენი გუნდის მომავალი ბომბარდირი ხვირა კვარაცხელია და ძლიერი, კარის მარ-

ცხენა კუთხეში მოზომილი დარტყმით, მეკარეს აუღებელი დაურტყა. მასპინძლები მანამდეც და მერეც, მთელი შეხვედრის განმავლობაში, უტყვევდნენ და სოლიდურ ტერიტორიულსა თუ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ლატვია მწყობრად იცავდა თავს, რის გამოც ანგარიში აღარ შეცვლილა.

ჩვენებისთვის მეორე შეხვედრა რომ „სიკვდილ-სიცოცხლის“ ტოლფასი იქნებოდა, ყველამ კარგად იცოდა: იტალია ისედაც ჯგუფის ფავორიტი ჩანდა, ხოლო ლატვიის პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში, ფაქტობრივად, ცალკარა ეთამაშა ჩერნოგორიას და 3:0 ისე მოუგო, არც კი დაღლილან. რაც მთავარია, ფაქტობრივად, დაგვიმტკიცეს, რომ სხვა გალაქტიკაზე იყვნენ, ჩვენებს კი ჩერნოგორიელებთან ნაფორხილების უფლება არ ჰქონდათ. საბედნიეროდ, ეს თავად ფეხბურთელებმაც კარგად გაითავისეს და მწვრთნელმა ნემსაძემაც შეძლო მათი მობილიზება, საბრძოლველად განწყობა. შედეგად, თავიდანვე მობრთული ქართველების შეჩერება ბალკანელებმა ვერ შეძლეს იმის მიუხედავად, რომ ლატვიასთან შედარებით, ბევრად უფრო გახსნილი ფეხბურთი ითამაშეს, წინაც მიდიოდნენ, ბევრად მეტსაც გვიტყვედნენ და საგოლე მომენტებიც ჰქონდათ. ჩვენების გამარჯვების ძირითად პირობად, მონდომებასთან ერთად, გააზრებული, თანამედროვე ფეხბურთის თამაში იქცა, რაც ამ ფორმაციის ნაკრების ხელნერაა – ეს უკვე გიორგი ნემსაძის დამსახურებაა, რადგან გუნდს გამართულ ფეხბურთს ათამაშებს. ჩერნოგორიასთან ანგარიში გაცილებით დიდ იქნებოდა, ცოტა ილბალიც რომ წახმარებოდათ. მაგალითად, იყო ძელსგარტყმული ბურთი, ერთხელ მეტოქის მცველმა ცარიელი კარის ხაზზეც მიუსწრო გიორგი გულიაშვილის დარტყმას... თუმცა, ორ მომენტში ფორტუნაც ჩვენს მხარეს იყო და ქართველებმაც შეუდარებლად დაარტყეს. პირველ გოლზე ისევ შესანიშნავად გაისარჯა ცოტენ კაპანაძე, ლამის ზემოაღნიშნულის მსგავს ანალოგიურ სიტუაციაში ჩაანოდა საჯარიმოში, სადაც ბურთს ამჯერად „პატარა აბრე-ზა“ – ზურაბ დავითაშვილი დახვდა, ახლო

ნარსულში ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თავდასხმელის, „აბრეზად“ ნოდებულის სულიყო დავითაშვილის ვაჟი, რომელმაც უზუსტესად დაარტყა. მეორე ტაიმში მან დაამტკიცა, რომ არა მარტო გოლის გატანა, არამედ უზუსტესი საგოლე პასებიც ეხერხება – მე-6 წუთზე მშვენივრად გადაანოდა კვარაცხელიას და იმანაც ულამაზესი გოლი გაიტანა. ამის შემდეგაც ჩვენებს არაერთი საგოლე შანსი ჰქონდათ – გულიაშ-

ვილსაც, დავითაშვილსაც, კვარაცხელიასაც, ხოლო კაპანაძემ რამდენჯერმე პირადად დაანოკა მეტოქის დაცვა და კარშიც სახიფათოდ დაარტყა. ერთ ასეთ ეპიზოდში მეკარე თითის წვერებითა მისწვდა ბურთს და ძლივს გადაარჩინა კარი.

იტალიასთან ჩვენებს მონდომება ნამდვილად არ აკლდათ და უტყვევდნენ კიდევ, მაგრამ აპენინელები გაცილებით უფრო აკადემიურად ირჯებოდნენ და 2:0 მოგვიტეს.



ოქროს კრივის ბანათა

ნარმატებით გამოვიდნენ ახალგაზრდა ქართველი მოკრივეები ანტალიაში ჩატარებულ ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში, სადაც 3 მედალი მოიპოვეს: 1 ოქრო და 2 ბრინჯაო. კონტინენტის ჩემპიონი თბილისელი საბილ ალაშვერდოვი გახდა 49 კილოგრამში, მესამე საპრიზო ადგილზე კი მარნეულები ოთარ ნავერიანი (60) და თბილისელი ბადრი ხუციშვილი (64) გავიდნენ.

ალაშვერდოვიც, პირველ შეხვედრაში, დამაჯერებლად აჯობა თურქ ფირატ დეიანის, თუმცა დიდად არც რუმინელი კოსმინ პეტრე გირლენუს ძლევა გასჭირვებია. ნახევარფინალშიც იოლად დაამარცხა აზერბაიჯანელი ჰასან იბრაჰიმოვი, ფინალში კი უნგრელი ატალა ბერნატი „მშრალი“ ანგარიშით – 5:0 დაჯაბნა და კონტინენტის ჩემპიონი გახდა.

ნავერიანმა და ხუციშვილმა ნახევარფინალამდე დაუბრ-

კოლებლად მიიღწიეს. პირველმა, წინასწარ ეტაპებზე, აზერბაიჯანელი საიდ ლალიევი, ხორვატი ანტონიო ტალკირი და ფინელი ასამი ნოული დაამარცხა, ნახევარფინალში კი მართლაც ძლიერ მეტოქესთან, ევროპისა და მსოფლიოს რუს ჩემპიონთან, ნიკიტა პისკუნოვთან დამარცხდა.

ხუციშვილმა, ნახევარფინალამდე, გზიდან აშკარა უპირატესობით ჩამოიშორა შვედი რობერტო ბენგსტონი, ავსტრიელი ესად ავიდირი და რუმინელი გაბრიელ დინუ. საბოლოოდ ისიც რუსთან – მუსა მარუფთან დამარცხდა.

ანტალიაში საქართველო სულ შვიდი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი და 3 მედალი ურიგო შედეგი არაა, ხოლო ოქროს ელვარებას ეს ყველაფერი სულ სხვა ხარისხში აპყავს. მანამდე კონტინენტის პირველობაზე, ასევე ნარმატებით, გამოვიდნენ ჭაბუკი მოკრივეები, ეს ყველაფერი კი იმის წინაპირობაა, რომ ეროვნულ ნაკრებს საიმედო რეზერვი ეზრდება და კონკურენცია მოიმატებს, რაც შედეგებსაც დაეტყობა. თუმცა, ბოლო პერიოდში, ქვეყნის მთავარი გუნდის მკვეთრად უმატებს შედეგებს.

საჭიდაო შემოდგომა

შემოდგომის მინურულს, ონში, ტრადიციულად, ისევ გაიმართა იქაურთა სახელოვანი ფალავანის, მსოფლიოს ორგზის და სეულის ოლიმპიადის ჩემპიონის, დავით გობეჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ზემო რაჭაში 150-მდე ახალგაზრდა ფალავანი შეიკრიბა, რომელთა უმეტესობას საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩასულები შეადგენდნენ, იყვნენ გუნდები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

შეჯიბრება ქართველთა დიდი უპირატესობით წარიმართა, რომლებმაც რვა წონიდან ექვსში გაიმარჯვეს, დანარჩენი ორი მედალი კი სტუმრებს დარჩათ, რაც ჩვენმა უშუალო მეზობლებმა თანაბრად გაინანილეს. თუმცა, სომხებს აქტივში, დამატებით, ორი ბრინჯაოც აქვთ, აზერბაიჯანელებს კი იმ ერთი ოქროს მეტი არაფერი მოუპოვეიათ.

ოქროს მედლები მასპინძლებს შორის თანაბრად გადანაწილდა: 6-დან ორი თბილისმა მოიპოვა, დანარჩენი ოთხი კი გორმა, კასპმა, ქუთაისმა და სამტრედიამ გაიყვეს. ამ მარაქაში გარევა შეჯიბრების მასპინძელ ონსაც შეეძლო, რადგან 84 კილოგრამში, ფინალში, მათი წარმომადგენელი – ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონი მირიან მაისურაძეც გავიდა, მაგრამ შედარებით გამოცდილ სამტრედიელ დემურ მეგენიშვილთან წააგო.

სხვა წონებში ჩემპიონები გოგა მამიაური (74), ზეპა ჭელიძე (84, ორივე – თბილისი), გოდერძი ძეზისაშვილი (55, გორი),

დანიელ მარქარაშვილი (66, კასპი), ალექსი ფორფოლიანი (120, ქუთაისი), მანველ ხაჩატურიანი (50; სომხეთი) და ელმარ კახინოვი (60, აზერბაიჯანი) გახდნენ.

ამ ტურნირის პარალელურად, საქართველომ კიდევ ერთი სახელოვანი ვეტერანის სახელობის შეჯიბრებას უმასპინძლა: თბილისში, ოლიმპიური რეზერვების ცენტრში, გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის, მიხეილ სალაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, ოლონდ ის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ტარდება და თანაც ჭაბუკებში. ეს შეჯიბრება ყოველთვის სოლიდური იყო, მაგრამ წლებგანდელი განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა: 300-მდე სპორტსმენი გამოდიოდა, საქართველოს გარდა, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებიც მონაწილეობდნენ. თანაც, სომხები უძლიერესი შემადგენლობით გვესტუმრნენ და აკი წარმატებითაც იჭიდავეს: 4 ოქრო მოიპოვეს. თუმცა, ამ მაჩვენებლით, მაინც მასპინძლები დეობიზენ – 5 ოქრო, 1 უმაღლესი სინჯის მედალი რუსეთმა დაისაკუთრა. აზერბაიჯანი, ამჯერად, უჩემპიონოდ დარჩა, არადა, ორი წარმომადგენელი ჰყავდა ფინალში.

ქართველთა ხუთი ჩემპიონიდან ოთხი აჭარის გუნდზე მოდის: არჩილ ბოლქვაძე (45), ნუკრი ბენიძე (48), ნიკა ბროლაძე (51) და ფრიდონ აბულაძე (55), ერთი – გარდაბანზე: გიორგი შპეტისვილი (81). სომხეთთან უმაღლეს საფეხურზე საპაკ ოვანესიანი (60), აშოტ კირაკოსიანი (66), კარენ ხაჩატრიანი (80) და არმენ კაზარანი (92) ავიდნენ, მათ ფინალში ჩვენი ფალავნები დაამარცხეს. ყველაზე პრესტიჟულ – მძიმე წონაში რუსმა გაიმარჯვა, ალბერტ ბულაგცევიმა ფინალში ოზურგეთელ კუჭური ბარბაქაძეს მოუგო. როგორც ვხედავთ, საქართველოს ყველა წონაში ჰყავდა წარმომადგენელი.



რუბრიკას უძღვება ირაპლი თაყვაძე



სამაგიდე თამაშების მრავალფეროვანი კატეგორიები I-VI კლასებისათვის

წესებიანი, სამაგიდე თამაშების მრავალი ახალი გამოცდა: შუქმანს ბავშვს უფრო მეტი განხილვა სწავლისას, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალური და საზოგადოებრივი უნარების განვითარებას. ამ თამაშების დროს თამაში ჩართულ მოსწავლეს უნდა: ანალიზი, მსჯელობა, კატეგორიზაცია/დახარისხება, დახვეწა/ორგანიზება, გადაწყვეტა, შედარება, შეფასება/კრიტიკა, რეფლექსია, შექმნა, გამოგონება, აღმოჩენა, თანამშრომლობა, წარმოდგენა/ვარაუდობა, წინასწარი შეფასება/წინასწარმეტყველება, წარდგენა/პრეზენტაცია, გამოყენება, გაკეთება, პრაქტიკული გადმოტანა, განხილვა/დასკვნა. თამაში ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების და გამოყენებული მეთოდების შესაბამისად არის შექმნილი.




რომელი საათია - 8 ლარი (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
მხიარული ფრაგმენტების ლოგიკა - 8 ლარი (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
ჩრდილები - 8 ლარი (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
მოსატყუარ სხოვლების ანგარიშ - 8 ლარი (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
სხვადასხვა სიტყვების - 8 ლარი (ჯგუფური თამაში);
შეგრძნობები - 8 ლარი;
მხიარული სინარტყელა - 8 ლარი (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
მხიარული წილადები - 8 ლარი (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
დავეხმაროთ რისხვებს - 8 ლარი (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
ვითვლი: 10-მდე, 20-მდე, 100-მდე - 8 ლარი (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
გაუმასპინძლეთ სტუმრებს - 23 ლარი (ჯგუფური თამაში, გათვლილია მთელ კლასზე);
ფარული მოხაიკა - 8 ლარი (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში).



სასწავლო პროექტები
ნიმუში მოყვანილი ნიმუში დასაბუთება და მსწავლელის მეთოდური რეკომენდაციები წაკითხვისთვის 11 ლარი



ქართული I-VI კლასები
ნიმუში მოყვანილი მსწავლელის მეთოდური რეკომენდაციები წაკითხვისთვის 11 ლარი



მსწავლელის სამუშაო რეკომენდაციები
მსწავლელის სამუშაო რეკომენდაციები 4 ლარი



ქართული ენის გეგმის პროგრამული
ქართული ენის გეგმის პროგრამული 6 ლარი



ნაწილი და მომონი ანგარიშები

სარია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „პითაგორის საათის“ საცემოების გათვალისწინებით.



სარის ფასი - 32.40 ლ

ქართული ენის კრებული

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.



სარის ფასი 17.70 ლ

მოკლემართ საბავშვო გამოცდებისთვის


კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასახვევი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამოცემის მფლობელის ოფიციალურ ვებგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაატაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.



თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ



თამაზ ვასაძე კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი 12 ლარი



ფიზიკა საბავშვო გამოცდებისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაძე 10 ლარი



ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე 7 ლარი



ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე 8 ლარი



„ტარაგი“ „კომუნიკაციის“ ნომერი I 11 ლარი




„ტარაგი“ „კომუნიკაციის“ ნომერი II 11 ლარი




თამაზ ბერაშენიძე ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული) 10 ლარი



თამაზ ვასაძე ქართული აგროგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის 4 ლარი



ბიოლოგია (II ნაწილი) ეროვნული გამოცდებისთვის ლ. ბურღიანი, ნ. სინარტყელიძე, ქ. მალაქაძე, დ. ნაჭირიშვილი 10 ლარი



ისტორია საბავშვო გამოცდებისთვის ნ. ანგვალი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია 9 ლარი



„ტარაგი“ „კომუნიკაციის“ ნომერი III 11 ლარი



„ტარაგი“ „კომუნიკაციის“ ნომერი IV 11 ლარი

თითო ტომის ფასი - 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირისხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეამინს მსურველები დაბრუნების გზით: 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23



თამაზი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბავშვო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

